F 171
1945

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფასო

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ბრძანებათა და განკარგულებათა

# კრებული

წელიწადი მერვე

| № 1—2 | Сборник приказов и распоряжений НКПроса Грузинской ССР | 1945 წ. |
|---|---|---|

## შინაარსი

1. ინსტრუქცია საქართველოს სსრ-ს შვიდწლიან და საშუალო სკოლების V, VI, VIII და IX კლასებში გადასაყვანი გამოცდებისა და დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების IV და VII კლასის დასამთავრებელი გამოცდების ჩატარების შესახებ.

2. Инструкции переводных испытаний в V, VI, VIII и IX классах семилетней и средней школы и экзаменов об окончании IV и VII классов начальной, семилетней и средней школы.

3. მითითებანი დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების მოსწავლეთა ცოდნისა და ყოფაქცევის შეფასებისას ხუთხარისხოვანი ციფრობრივი სისტემის გამოყენების შესახებ.

4. Указания о применении в начальниых, семилетных и средних школах цифровой пятибальной системы оценки успеваемости и поведения учащихся.

5. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ინსტრუქცია კურსდამთავრებულთა მოწმობებისა, სიმწიფის ატესტატებისა და გადასაყვანი მოწმობების დაბეჭდვის, შენახვის, გაცემისა და ანგარიშგების შესახებ.

თბილისი—1945 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დააბრუნეთ წიგნი დროზე
**Возвратите книгу во время**

პ/მგ. რედაქტორი მ. გურჭულაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/III—45. უე 01446 შეკვეთის № 487. ტირაჟი 5000

აქ. სსრ სახელმწიფო გამომცემლობის სტამბა. ორჯონიკიძის ქ. № 50.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ.

საქართველოს სსრ განათლების სახალ-
ხო კომისარი—ვ. კუპრაძე, 1945 წლის
3 მარტი

# ინსტრუქცია

## შვიდწლიანი და საშუალო სკოლის V, VI, VIII, და XI კლასებში გადასაყვანი გამოცდებისა და დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების IV და VII კლასების დასამთავრებელი გამოცდების ჩატარების შესახებ

### I. ზოგადი დებულებანი

§ 1.

კლასიდან კლასში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდები საქართველოს სსრ ყველა დაწყებით, შვიდწლიან და საშუალო სკოლაში ტარდება.

§ 2.

კლასიდან კლასში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდები სახელმწიფო პროგრამების მოთხოვნის შესაბამისად, ტარდება მოსწავლეთა ცოდნა-ჩვევების სიმტკიცე-სისრულისა და იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად მომზადებულნი არიან მოსწავლენი შვიდწლიანი და საშუალო სკოლის შემდგომს, უფროს კლასში ან პროფესიულ სასწავლებელში წარმატებითი სწავლისათვის.

### II. გადასაყვანი გამოცდები

§ 3.

გადასაყვან გამოცდებს აბარებენ V, VI, VIII და IX კლასების მოსწავლენი, ხოლო I, II, და III კლასების მოსწავლეთა გადაყვანა ან კურსის განმეორებით გასავლელად იმავე კლასში დატოვება წლიური ნიშნების მიხედვით ხდება.

**შენიშვნა:** მითითებანი წლიური ნიშნის გამოყვანის წესის შესახებ ამ ინსტრუქციას თან ერთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 4.

I, II, III კლასების მოსწავლეთა გადაყვანა მომდევნო კლასებში წარმოებს შემდეგი წესით:

ა) I, II, III კლასების ის მოსწავლენი, რომელთაც ორ საგანში,— დედაენასა და არითმეტიკაში აქვთ „3-“-ზე ნაკლები ნიშნები, დატოვებულნი უნდა იქნენ იმავე კლასებში, ხოლო იმ მოსწავლეებს, რომელთაც დასახელებული საგნებიდან მხოლოდ ერთერთში აქვთ „3“-ზე ნაკლები ნიშანი,—უნდა მიეცეთ საზაფხულო დავალება;

ბ) III კლასების ის მოსწავლენი, რომელთაც დედაენაში ან არითმეტიკაში, და, ამას გარდა, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დანარჩენი საგნებიდან (რუსულ ენა არასრულ სკოლებში, ქართული ენა არაქართულ სკოლებში, ბუნებისმეტყველება, ისტორია, გეოგრაფია)—ორ საგანში აქვთ „3“-ზე ნაკლები ნიშანი,—დატოვებულ უნდა-იქნან მესამე კლასში, ხოლო იმ მოსწავლეებს, რომელთაც დედაენასა ან არითმეტიკაში, და, ამის გარდა, დანარჩენი საგნებიდან მხოლოდ ერთ საგანში აქვთ „3“-ზე ნაკლები ნიშანი,—უნდა მიეცეთ საშემოდგომო დავალება;

გ) III კლასის ის მოსწავლენი, რომელთაც „3“-ზე მეტი ნიშანი აქვთ დედაენასა და არითმეტიკაში, მაგრამ ყველა სხვა დანარჩენ საგანში (რუსულ ენაში არარუსულ სკოლებში, ქართულ ენაში არაქართულ სკოლებში, ბუნებისმეტყველებაში, ისტორიაში, გეოგრაფიაში) —„3“-ზე ნაკლები ნიშანი აქვთ,—დატოვებული უნდა იქნენ იმავე კლასში, ხოლო იმ მოსწავლეებს კი, რომელთაც ამ ოთხი საგნიდან სამ საგანში აქვთ „3“-ზე ნაკლები ნიშანი—უნდა მიეცეთ საზაფხულო დავალებანი ამ საგნებში.

დ) ახალი სასწავლო წლის დაწყების დროისათვის საზაფხულო დავალების შეუსრულებლობისა ან ცუდათ შესრულების შემთხვევაში მოსწავლე დატოვებული უნდა იქნეს იმავე კლასში.

§ 5.

V, VI, VIII და IX კლასების ის მოსწავლენი, რომელთაც ორზე მეტ საგანში აქვთ „3“-ზე ნაკლები წლიური ნიშანი, გამოცდებზე არ დაიშვებიან და იმავე კლასში რჩებიან კურსის განმეორებით გასავლელად.

§ 6.

გამოცდებზე დაშვებული ის მოსწავლენი, რომელთაც „3-“ზე დაბალი წლიური ნიშანი აქვთ ერთ ან ორ საგანში, საგამოცდო იქნება

ეს საგანი თუ არა საგამოცდო,—გამოცდას შემოდგომაზე აბარებენ. იმ შემთხვევაში, როდესა́ც მოსწავლე საგაზაფხულო გამოცდაზე დამატებით მიიღებს „3“-ზე ნაკლებ შეფასებას და ამის შედეგად საბოლოოდ ორზე მეტ საგანში ექნება „3“-ზე ნაკლები ნიშანი, იგი—საშემოდგომო გამოცდებზე აღარ დაიშვება და დატოვებული იქნება იმავე კლასში.

**შენიშვნა:** წერასა და ზეპირში მიღებული ნიშანი ერთნიშნად ითვლება.

## § 7.

მოსწავლენი რომელნიც მწოლიარე ავადმყოფები არიან, არ შეუძლიათ გამოცხადდნენ გამოცდებზე და ამის შესახებ სკოლის ექიმისა ან სათანადო სამკურნალო დაწესებულების დასკვნა აქვთ,—პედაგოგიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე,—შეიძლება გამოცდების ჩაუბარებლად იქნან გადაყვანილნი შემდეგ კლასში, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მათ სასწავლო წლის განმავლობაში „3“-ზე დაბალი ნიშანი არა აქვთ სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა საგანში. იმ ავადმყოფ მოსწავლეებს კი, რომელთაც ერთ ან ორ საგანში აქვთ „3“-ზე ნაკლები შეფასება, გამოცდები უნდა გადაედოთ შემოდგომისათვის.

## § 8.

გადასაყვანი გამოცდები ყველა სკოლაში იწყება 20 მაისს (წელს გამოცდები იწყება 21 მაისს, რადგანაც 20 მაისი კვირაა), გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებსა და ვადებში:

V **კლასებში:** მშობლიურ ენაში და ლიტერატურაში—წერითი და ზეპირი, არითმეტიკაში—წერითი და ზეპირი, გეოგრაფიაში, რუსულ ენაში (არარუსულ სკოლებში)—წერითი და ზეპირი, სულ 7 გამოცდა, აქედან 3 წერითი და 4 ზეპირი—18 კალენდარული დღე;

VI **კლასებში:** მშობლიურ ენაში და ლიტერატურაში წერითი და ზეპირი, რუსულ ენაში (არარუსულ სკოლებში)—წერითი და ზეპირი, ალგებრაში—წერითი, ბიოლოგიაში, გეოგრაფიაში. სულ 7 გამოცდა, აქედან 3 წერითი და 4 ზეპირი—18 კალენდარული დღე;

VIII **კლასებში:** მშობლიურ ლიტერატურაში—წერითი და ზეპირი, რუსულ ენაში და ლიტერატურაში (არარუსულ სკოლებში)—წერითი და ზეპირი, ალგებრაში—წერითი, გეომეტრიაში, ბიოლოგიაში, ფიზიკაში, უცხო ენაში, სულ 9 გამოცდა, აქედან 3 წერითი და 6 ზეპირი—25 კალენდარული დღე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

IX კლასებში: მშობლიურ ლიტერატურაში—წერითი და ზეპირი, რუსულ ენაში და ლიტერატურაში (არარუსულ სკოლებში)—წერითი და ზეპირი, ალგებრაში—წერითი, გეომეტრიაში, გეოგრაფიაში, ბიოლოგიაში, უცხო ენაში, სულ 9 გამოცდა, აქედან 3 წერითი და 6 ზეპირი—25 კალენდარული დღე.

**შენიშვნა.** 1. მე-6 კლასში გამოცდა ბიოლოგიაში მხოლოდ ბოტანიკაში ტარდება მე-5 და მე-6 კლასის კურსის ფარგლებში;

2. მე-9 კლასში გამოცდა გეოგრაფიაში მე-8 და მე-9 კლასის კურსის ფაოგლებში ტარდება.

§ 9.

ის სკოლები, რომლებშიც პროგრამის გავლის მხრივ ჩამორჩენაა რომელიმე სასწავლო საგანში, გადასაყვან გამოცდებს ატარებენ ფაქტიურად გავლილი სასწავლო მასალის ფარგლებში.

§ 10.

თითოეულ გადასაყვან გამოცდას ამ საგნის მასწავლებელი ატარებს ასისტენტის თანდასწრებით, რომელსაც სკოლის დირექტორი ნიშნავს იმავე ან მონათესავე საგნის მასწავლებელთაგან. ასისტენტის შეფასება მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ნიშნის დაწერის დროს.

§ 11.

ზეპირი შემოწმებითი გამოცდები ყველა კლასში ბილეთებით წარმოებს. ბილეთებს ადგენს ამ საგნის მასწავლებელი და გამოცდების დაწყებამდე 10 დღით ადრე ამტკიცებს სკოლის დირექტორი. ბილეთები უნდა იყოს თანაბარი სიძნელისა, თითოეული ბილეთი უნდა შედგებოდეს სასწავლო პროგრამიდან აღებული ორი-სამი ნათელი, მოსწავლისათვის გასაგები და გარკვევით დაწერილი საკითხისაგან.

თითოეულ საგანში დაახლოებით 25—30 ბილეთი დგება. ბილეთებში მოცემული საკითხები მთლიანად უნდა ამოსწურავდეს სასწავლო პროგრამას.

მოსწავლე გამოძახებისას ბილეთს თვითონ იღებს. თუ მოსწავლეს არ შეუძლია ბილეთში მოცემულ საკითხებზე პასუხის გაცემა,—ნება ეძლევა მეორე ბილეთი აიღოს, მაგრამ ამ შემთხვევაში მოსწავლეს

ერთი ნიშნით ნაკლები უნდა დაეწეროს. მოსწავლის ცოდნის უფრო ზუსტად გამორკვევის მიზნით მასწავლებელს და ასისტენტს შეუძლიათ დამატებით კითხვები მისცენ მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილეთი, რომელზეც მოსწავლემ პასუხი გასცა, კლასის ამ ჯგუფში აღარ უნდა იქნას გამოყენებული.

## § 12.

წერით სამუშაოს შეადგენს:

ა) ქართულ ენასა და ლიტერატურაში ქართულ სკოლებში, სომხურ, აზერბეიჯანულ და აფხაზურ სკოლებში მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში,—V და VI კლასში—გავლილი ლიტერატურული მასალიდან შინაარსის გადმოცემა, VIII და IX კლასებში—მწერლის შემოქმედების დახასიათება ან ცალკე ნაწარმოების გარჩევა;

ბ) რუსულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ სკოლებში,—V კლასში—კარნახი, VI კლასში შინაარსის გადმოცემა, VIII, IX კლ. მწერლის შემოქმედების დახასიათება ან ცალცალკე ნაწარმოების გარჩევა;

**შენიშვნა:** თხზულებისათვის მოსწავლეებს ორი თემა ეძლევათ, რომელთაგან მათ უფლება აქვთ ერთ—ერთი აირჩიონ.

გ) რუსულ ენაში ყველა არარუსულ სკოლაში V, VI კლასებში—პასუხი კითხვებზე გავლილი მასალიდან,—VIII, IX კლასებში—გავლილი მასალიდან პატარა მოთხრობის შინაარსის გადმოცემა, მასწავლებლის მიერ მოთხრობის წინასწარ წაკითხვით კლასში.

## § 13.

მათემატიკაში გამოცდისას წერითი სამუშაოს უნდა შეადგენდეს: V კლასში ერთი ამოცანა და ორი მაგალითი არითმეტიკაში;

VI კლასში—სამი მაგალითი ალგებრაში (ერთი ალგებრული გამოსახულების რიცხვითი სიდიდის გამოანგარიშებაზე და ორი იგივურ გარდაქმნებზე); VIII და IX კლასებში—ამოცანა და ორი მაგალითი ალგებრაში. ამოცანები და მაგალითები მოსწავლეებს ეძლევათ ერთნაირი სიძნელისა, ორ ვარიანტად.

## § 14.

თემებს, ამოცანებსა და მაგალითებს V, VI, VIII და IX კლასებისათვის თითოეულ საგანში ადგენენ საგნის მასწავლებლები და ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## § 15.

გამოცდებზე მოსწავლეები ყველა წერითს სამუშაოს ასრულებენ სკოლის მიერ წინასწარ მომზადებული ქაღალდის ფურცლებზე, რომელსაც სკოლის შტამპი უნდა ჰქონდეს დასმული.

## § 16.

გამოცდები სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ცხრილით ტარდება. ცხრილი მოსწავლეებს უნდა გაეცნოს 10 დღით ადრე გამოცდების დაწყებამდე.

ცხრილის შედგენისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული, რომ:

ა) კლასში ერთ დღეს შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთი გამოცდა, წერითი ან ზეპირი;

ბ) თითოეული წერითი გამოცდისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს: V, VI კლასებში—არაუმეტეს 2 საათისა; VIII, IX კლასებში არაუმეტეს 3 საათისა;

გ) შესვენება სავალდებულოა თითოეული აკადემიური საათის შემდეგ მხოლოდ ზეპირი გამოცდების დროს.

## § 17.

ერთ საგანში გამოცდა (ზეპირი, თუ წერითი) კლასში ერთ დღეს უნდა დამთავრდეს. თუ კლასში 20-ზე მეტი მოსწავლეა ზეპირი გამოცდების ჩატარების დროს კლასი ორად უნდა გაიყოს; კლასის ერთი ნახევარი დილიდან აბარებს გამოცდებს, მეორე ნახევარი—ნაშუადღევს.

ზეპირი გამოცდები წარმოებს მთელი კლასის მოსწავლეთა ან (თუ კლასი გამოყოფილია ორ ჯგუფად) მისი ნახევარი შემადგენლობის თანდასწრებით. გამოკითხული მოსწავლე უნდა გავიდეს კლასიდან.

წერითი გამოცდის ჩატარებისას ის მოსწავლე, რომელმაც სამუშაო შეასრულა და მასწავლებელს გადასცა,ვალდებულია გავიდეს კლასიდან.

## § 18.

იმ სასწავლო საგნებში, რომლებშიც დადგენილია წერითი და ზეპირი გამოცდები, პირველად წერითი გამოცდები ტარდება, ხოლო ზეპირი გამოცდა მას მოსდევს. მოსწავლეთა წერითი ნამუშევრები ამ საგანში ზეპირი გამოცდების დაწყებამდე უნდა შეამოწმონ და შეაფასონ მასწავლებლებმა და ასისტენტებმა და უნდა ჩააბარონ სკოლის დირექტორს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## III. მოსწავლეთა გადაყვანისა და დაჯილდოების პირობები:

### § 19.

მოსწავლეთა გადაყვანა შემდეგ კლასებში შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ მათ სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა საგანში საბოლოო ნიშანი „3“-ზე დაბალი არა აქვთ.

მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანის საკითხი წყდება პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე.

**შენიშვნა:** გამოცდისათვის გათვალისწინებულ ყველა საგანში საბოლოო ნიშანი იწერება გამოცდის დროს მიღებული ნიშნისა და წლიური ნიშნის საფუძველზე, ხოლო ყველა დანარჩენ საგანში, —მხოლოდ წლიური ნიშნის საფუძველზე. მითითებანი საბოლოო ნიშნის დადგენის წესის შესახებ ინსტრუქციას თანერთვის.

### § 20.

მოსწავლენი, რომელნიც გადასაყვანი გამოცდების შედეგად მიიღებენ „3“-ზე ნაკლებ ნიშანს ორზე მეტ საგანში, —იმავე კლასში უნდა იქნან დატოვებულნი კურსის განმეორებით გასავლელად, ხოლო იმ მოსწავლეებმა, რომელნიც ერთ ან ორ საგანში მიიღებენ „3“-ზე ნაკლებ ნიშანს, შემოდგომაზე უნდა ჩააბარონ განმეორებითი გამოცდები ამ საგნებში.

### § 21.

საუკეთესო ყოფაქცევის ის მოსწავლენი, რომელნიც ყველა საგანში მიიღებენ საბოლოო ნიშანს „5“, ხოლო ხატვაში „3“-ზე დაბალი ნიშანი არა აქვთ, დაჯილდოებულ უნდა იქნან ქების სიგელით.

### § 22.

საშემოდგომო გამოცდა მიცემულ იმ მოსწავლეს, რომელიც საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის გამო გადადის სხვა სკოლაში, სკოლის დირექტორის (გამგის) მიერ უნდა მიეცეს სათანადო ცნობა წარმატების ნიშნებით. სკოლა, რომელშიაც გადადის მოსწავლე, ვალდებულია დაუშვას იგი საშემოდგომო გამოცდაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## IV. საშემოდგომო გამოცდები

23.

საშემოდგომო გამოცდები სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ცხრილით ტარდება 25—29 აგვისტომდე (ჩათვლით).

საშემოდგომო გამოცდების ცხრილს მოსწავლენი უნდა გაეცნონ საზაფხულო არდადეგების დაწყებამდე.

საშემოდგომო გამოცდები იმავე წესით წარმოებს, რაც გათვალისწინებულია საგაზაფხულო გამოცდებისათვის.

§ 24.

მოსწავლეები, რომელნიც საშემოდგომო გამოცდაზე თუნდაც ერთ საგანში მიიღებენ „3"-ზე ნაკლებ ნიშანს, დატოვებულ უნდა იქნან იმავე კლასში კურსის განმეორებით გასავლელად. მოსწავლეთა პირობითი გადაყვანა აკრძალულია.

§ 25.

მოსწავლეებს, რომელთა ჩამორჩენა სწავლაში საპატიო მიზეზებით იყო გამოწვეული, სკოლა უნდა დაეხმაროს საშემოდგომო გამოცდებისათვის მომზადებაში (ჯგუფური ან ინდივიდუალური მეცადინეობის მოწყობა, კონსულტაციები და ა. შ.).

§ 26.

პედაგოგიური საბჭოს დადგენილება მოსწავლეთა იმავე კლასში დატოვების ან მათთვის საშემოდგომო გამოცდების დანიშვნის შესახებ სკოლამ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მოსწავლეთა მშობლებს ან მათ შემცვლელ პირებს.

## V. გადასაყვანი გამოცდები არაქართულ სკოლებში

§ 27.

არაქართულ სკოლებში (რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ და ოსურ სკოლებში) გადასაყვანი გამოცდები ტარდება ამ ინსტრუქციის საფუძველზე, შემდეგი დამატებით:

ა) გარდა ესებული საგნებისა გამოცდა წარმოებს ქართულ ენაში VI და IX კლასებში—წერითი, ხოლო V, VIII კლასებში მხოლოდ ზეპირი;

ბ) ამ სკოლებში ქართულ ენაში, წერით გამოცდას შეადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI კლასში -პასუხები წინასწარ დასმულ კითხვებზე, IX—კლასში კი პატარა მოთხრობის შინაარსის გადმოცემა, მოთხრობის წინასწარი წაკითხვით კლასში.

## VI. გამოსაშვები გამოცდები IV და VII კლასებში

§ 28.

IV და VII კლასებში გამოსაშვები გამოცდები იწყება 20 მაისს (წელს კი 21 მაისს, რადგან 20 მაისი კვირაა).

§ 29.

გამოსაშვებ გამოცდებზე არ დაიშვებიან IV და VII კლასების მოსწავლენი, რომელთაც „3"-ზე ნაკლები წლიური ნიშანი აქვთ ორზე მეტ საგანში, ისინი დატოვებულ უნდა იქნან იმავე კლასში კურსის განმეორებით გასავლელად.

§ 30.

გამოცდებზე დაშვებული ის მოსწავლენი, რომელთაც „3"-ზე დაბალი წლიური ნიშანი აქვთ ერთ ან ორ საგანში, საგამოცდო იქნება ეს საგანი თუ არა საგამოცდო,—გამოცდას შემოდგომაზე აბარებენ.

იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლე საგაზაფხულო გამოცდაზე დამატებით მიიღებს „3"-ზე ნაკლებ შეფასებას და ამის შედეგად საბოლოოდ ორზე მეტ საგანში ექნება „3"-ზე ნაკლები ნიშანი, იგი—საშემოდგომო გამოცდებზე აღარ დაიშვება და დატოვებული იქნება იმავე კლასში.

შენიშვნა: წერასა და ზეპირიში მიღებული ნიშანი ერთ ნიშნად ითვლება.

§ 31.

IV კლასში გამოსაშვები გამოცდები ტარდება მშობლიურ ენაში,—წერითი და ზეპირი, რუსულ ენაში (არარუსულ სკოლებში)—წერითი და ზეპირი, არითმეტიკაში—წერითი და ზეპირი, ისტორიაში და გეოგრაფიაში, სულ 8 გამოცდა, აქედან 3 წერითი და 5 ზეპირი—20 კალენდარული დღე.

არაქართული სკოლების IV კლასებში აღნიშნულ საგნებს გარდა გამოცდები ტარდება ქართულ ენაში—წერაში.

§ 32.

IV კლასში წერითს გამოცდებს შეადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) ქართულ ენაში, ქართულ სკოლებში—გავლილი მასალის ფარგლებში მოკლე შინაარსის გადმოცემა ან მომქმედ პირთა დახასიათება, ხოლო არაქართულ სკოლებში კითხვებზე პასუხის გაცემა;

ბ) რუსულ ენაში, რუსულ სკოლებში,—კარნახი, არარუსულ სკოლებში—პასუხი კითხვებზე გავლილი მასალიდან;

გ) მშობლიურ ენაში სომხურ, აზერბეიჯანულ აფხაზურ—და ოსურ სკოლებში—გავლილი მასალის ფარგლებში მოკლე შინაარსის გადმოცემა ან მომქმედ პირთა დახასიათება;

დ) არითმეტიკაში—ერთი ამოცანა და ერთი მაგალითი.

§ 33.

IV კლასის თითოეულ საგანში ზეპირი გამოცდა ტარდება საქართველოს სსრ განსახკომის მიერ დამტკიცებული ბილეთების საფუძველზე, ხოლო წერით თემებს და კარნახის ტექსტს მშობლიურ ენაში, ამოცანასა და მაგალითს არითმეტიკაში ადგენს ქალაქის, რაიონის, განათლების განყოფილება და გამოცდის წინ აბარებს სკოლებს. კითხვები პასუხისათვის არაქართულ სკოლებში ქართულსა და არარუსულ სკოლებში რუსულ ენებში დგება თვით სკოლაში, მათ ამტკიცებს სკოლის დირექტორი (გამგე).

IV კლასის მოსწავლეებს წერითი გამოცდისათვის ეძლევათ დრო არაუმეტეს 2 საათისა.

§ 34.

VII კლასში გამოსაშვები გამოცდები ტარდება მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში—წერითი და ზეპირი, რუსულ ენაში (არარუსულ სკოლებში)—წერითი და ზეპირი, ალგებრაში (მხოლოდ ზეპირი) გეომეტრიაში, ისტორიაში, სსრკ კონსტიტუციაში, გეოგრაფიაში, ფიზიკაში, ბიოლოგიაში და უცხო ენაში, სულ 12 გამოცდა, აქედან 2 წერითი და 10 ზეპირი-30 კალენდარული დღე.

სომხურ, აზერბეიჯანული და აფხაზური სკოლების VII კლასებში უცხო ენის ნაცვლად გამოცდა ტარდება ქართულ ენაში—წერაში.

**შენიშვნა:** 1. ენასა და ლიტერატურაში ზეპირი გამოცდისას ერთი შეფასება იწერება, ასევეა ალგებრასა და არითმეტიკაში.

2. ისეთ შემთხვევაში, როდესაც მეშვიდე კლასში საპროგრამო მასალის გავლაში დიდი ჩამორჩენაა, განსახკომთან შეთანხმებით, გამოცდები შეიძლება გადაიდოს შემოდგომაზე. ხოლო იმ საგნებში, რომლების სწავლებაც ჩამორჩა, მეცადინეობა გაგრძელდეს ზაფხულზე.

§ 35.

VII კლასში წერით-გამოცდებს შეადგენს:

ა) ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ქართულ სკოლებში—კლასში გავლილი ნაწარმოების მიხედვით მომქმედ პირთა დახასიათება, ხოლო არაქართულ სკოლებში—გავლილი პატარა მოთხრობის შინაარსის გადმოცემა, მოთხრობის წინასწარ წაკითხვით კლასში.

ბ) რუსულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ სკოლებში—კარნახი და გავლილი მასალიდან შინაარსის გადმოცემა, ხოლო არარუსულ სკოლებში,—გავლილი პატარა მოთხრობის შინაარსის გადმოცემა, მოთხრობის წინასწარ წაკითხვით კლასში.

გ) მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში სომხურ, აზერბაიჯანულ და აფხაზურ სკოლებში—გავლილილი ნაწარმოების მიხედვით მომქმედ პირთა დახასიათება.

შენიშვნა; ა) საგამოცდო თემას მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში ადგენს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი და განათლების განყოფილებების წარმომადგენელთა მეშვეობით აბარებს სკოლის დირექტორებს გამოცდის დღეს. ქართულ ენაში არაქართულ სკოლებში და რუსულ ენაში არა რუსულ სკოლებში თემები ადგილზე დგება და მტკიცდება სკოლის დირექტორის მიერ.

ბ) წერითი გამოცდისათვის VII კლასების მოსწავლეებს ეძლევათ დრო არა უმეტეს სამი საათისა.

გ) მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში წერითი გამოცდა წელს 24 მაისს ტარდება.

§ 36.

IV და VII კლასების იმ მოსწავლეებს, რომლებიც ნწოლიარე ავადმყოფი არიან, არ შეუძლიათ გამოცხადდენ გამოცდებზე და ამის შესახებ სკოლის ექიმის ან სამკურნალო დაწესებულებების სათანადო დასკვნა აქვთ—გამოცდები გადაედებათ შემოდგომისათვის.

§ 37.

დაწყებითი და შვიდწლიანი სკოლის კურსზე მოსწავლეთა გამოსაშვებ გამოცდებს ატარებს კომისია შემდეგი შემადგენლობით: სკოლის დირექტორი (გამგე) თავმჯდომარე, საგნის მასწავლებელი, სკოლის დირექტორის (გამგის) მიერ დანიშნული ასისტენტი.

შენიშვნა: თუ სკოლის დირექტორი დატვირთულია მე-10 კლასში გამოცდებზე დასწრების გამო, IV და VII კლასებში გამოცდებზე თავმჯდომარეობა სასწავლო ნაწილის გამგეს ან ამ კლასების საგამოცდო კომისიის ერთერთ წევრს ევალება.

IV კლასში საგამოცდო კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ მხოლოდ ის პირნი, რომელთაც განათლება აქვთ არანაკლებ პედაგოგიური სასწავლებლისა, ხოლო VII კლასებში — სამასწავლებლო ინსტიტუტისა.

თუ სკოლის დირექტორს (გამგეს) და მასწავლებელს, რომლის საგანშიც წარმოებს გამოცდა, სათანადო განათლება არა აქვთ, საგამოცდო კომისიის შემადგენლობას აწესებს სახალხო განათლების რაიონული (საქალაქო) განყოფილება.

შენიშვნა: საგამოცდო კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ ის პირნიც, რომელთაც ატესტაციით მიღებული აქვთ დაწყებითი ან საშუალო სკოლის მასწავლებლის პერსონალური წოდება, აგრეთვე IV კლ. მასწავლებლები, რომელნიც დაუსწრებელი პედაგოგიური ინსტიტუტის II კურსზე ითვლებიან, ხოლო VII კლ. მასწავლებლები, რომელნიც III კურსზე არიან გადასულნი.

ერთკომპლექტიანი და ორკომპლექტიანი დაწყებითი სკოლების მოსწავლეთა გამოცდები წარმოებს ერთ-ერთ უახლოეს სკოლაში სათანადო განათლების რაიონული (საქალაქო) განყოფილების მითითებით. ეს უკანასკნელი განსაზღვრავს აგრეთვე სასკოლათშორისო საგამოცდო კომისიების შემადგენლობას.

ასეთ გაერთიანების შემთხვევაში მოსწავლეებს დაწყებითი სკოლის დამთავრების მოწმობა ეძლევა გამოცდების ჩამტარებელი კომისიის ხელმოწერით, მაგრამ თავთავისი სკოლის სახელით.

## IV და VII კლასების მოსწავლეთა გამოშვებისა და დაჯილდოების პირობები

### § 38.

მოსწავლე დაწყებითი ან შვიდწლიანი სკოლის კურსდამთავრებულად ითვლება და ამის შესახებ მოწმობას იღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო გეგმის კოველი წინებულ ყველა საგანში საბოლოო ნიშანი „3“-ზე დაბალი არა აქვს, ხოლო ყოფაქცევაში აქვს „5“.

საგამოცდო საგნებში საბოლოო ნიშნები გამოცდებზე მიღებული და წლიური ნიშნების საფუძველზე იწერება. დანარჩენ საგნებში წლიური ნიშანი იწერება.

### § 39.

მოსწავლე, რომელიც მიიღებს „3“-ზე ნაკლებ საბოლოო ნიშანს ორზე მეტ საგანში, დატოვებულ უნდა იქნას იმავე კლასში კურსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმეორებით გასავლელად. ხოლო იმ მოსწავლემ, რომელმაც ასეთი ნიშანი მიიღო არაუმეტეს ორი საგნისა—გამეორებითი გამოცდები უნდა ჩააბაროს ამ საგნებში შემოდგომაზე.

§ 40.

IV და VII კლასების მოსწავლეებს, რომელნიც §—39-ით მოხსენებულ პირობებს აკმაყოფილებენ, მაგრამ ნიშანი „5" არა აქვთ ყოფაქცევაში, ეძლევათ მხოლოდ ცნობა სკოლის დამთავრების შესახებ და არა მოწმობა.

მოსწავლეები, რომელთაც სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებში საბოლოო ნიშანი „5" მიიღეს და საუკეთესო ყოფაქცევისანი არიან, დაჯილდოებულ უნდა იქნან ქების სიგელებით.

§ 41.

გადასაყვანი გამოცდების ორგანიზაციის შესახებ ამ ინსტრუქციით დაწესებული სათანადო მუხლები ვრცელდება IV და VII კლასების გამოსაშვებ გამოცდებზეაც.

## VIII. ანგარიშგება გამოცდებისათვის

§ 42.

ყველა წერითი ნამუშევარი, რომლებიც მოსწავლეებმა შეასრულეს გამოცდებზე, აგრეთვე ბილეთები, რომლებითაც ზეპირი გამოცდები წარმოებდა, —სკოლაში ინახება.

§ 43.

გამოცდების ჩამტარებელი მასწავლებელი თავის საგანში გამოცდების დამთავრების დღეს სკოლის დირექტორს (გამგეს) აბარებს გულდასმით და დაწესებული ფორმით შედგენილ ოქმს გამოცდების შესახებ, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს თითოეული მოსწავლის ცოდნის შეფასება (იხ. გამოცდების ოქმის ფორმა).

§ 44.

გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების საერთო შედეგებს საბოლოო სხდომაზე იხილავს სკოლის პედაგოგიური საბჭო.

§ 45.

გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების შესახებ რაიმე ადგილობრივი ინსტრუქციების გამოცემა აკრძალულია. კატეგორიულად აკრძალულია აგრეთვე სკოლის დირექტორისაგან (გამგეებისაგან) გამოცდების შესახებ რაიმე ცნობების მოთხოვნა, რომლებიც დაწესებული არ არის სტატისტიკური ანგარიშგებით.

**საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს უფროსი შ. ოზოლაძე**

УТВЕРЖДАЮ
Народный Комиссар Просвещения
Грузинской ССР В. КУПРАДЗЕ
3 марта 1945 г.

# ИНСТРУКЦИЯ

## о проведении переводных испытаний в V, VI, VIII и IX классах семилетней и средней школы и выпускных экзаменов об окончании IV и VII классов начальной, семилетней и средней школы

### I. Общие положения

§ 1.

Переводные испытания и выпускные экзамены проводятся во всех начальных, семилетних и средних школах Грузинской ССР.

§ 2.

В соответствии с требованиями государственной программы, переводные и выпускные испытания проводятся с целью выявления прочности и полноты знания и навыков учащихся, а также для установления, насколько учащиеся семилетней и средней школы подготовлены для успешного занятия в следующих классах или в профессиональных школах.

### II. Переводные испытания

§ 3.

Переводные испытания сдают учащиеся V, VI, VIII и IX классов; перевод или оставление на повторительный курс учащихся I, II и III классов производится на основе годовых отметок.

**Примечание:** Указания об установлении годовых отметок прилагаются к данной инструкции.

§ 4.

Перевод в последующие классы учащихся I, II и III классов производится в следующем порядке:

а) Учащиеся I, II и III классов, которые по двум предметам — родному языку и арифметике имеют отметку ниже „3“, оставляются в тех же классах, а учащимся, имеющим отметку ниже „3“ лишь по одному из указанных предметов, дается летнее задание.

б) Учащиеся III классов, которые по родному языку и арифметике, а также по двум из остальных предметов, предусмотренных в учебном плане (русский язык в нерусских школах, грузинский язык в негрузинских школах, естествознание, география, история) имеют отметки ниже „3“, оставляются в III классе, а учащимся, имеющим по родному языку или арифметике и кроме того по одному из остальных предметов отметку ниже „3“, дается задание на осень;

в) Учащиеся III классов, которые по родному языку и арифметике имеют отметку выше „3“, но по остальным предметам (русский язык в нерусских школах, грузинский язык в негрузинских школах, естествознание, история, география) отметку ниже „3“, оставляются в том же классе; учащимся, имеющим отметки ниже „3“ по трем предметам из этих четырех, дается по этим предметам летнее задание.

Учащиеся, не выполнившие или плохо выполнившие летнее зедание, оставляются в том же классе.

§ 5.

Учащиеся V, VI, VIII и IX классов, имеющие больше чем по двум предметам годовую отметку ниже „3“,—к проверочным испытаниям не допускаются и оставляются в том же классе.

§ 6.

Учащиеся, допущенные к испытаниям, имеющие отметку ниже „3“ по одному или двум предметам, независимо от того, являются или нет эти предметы испытательными, испытания по этим предметам сдают осенью.

В том случае, если учащийся на весенних испытаниях дополнительно получил отметку ниже „3“ по какому-либо предмету и в результате будет иметь отметку ниже „3“ больше чем по двум предметам, к осенним испытаниям не допускается и оставляется в том же классе.

**Примечание:** Оценка по устному и письменному считается за одну отметку.

§ 7.

Тяжело больные учащиеся, которые не имеют возможности явиться на испытания, но имеют заключение школьного врача или соответствующего лечебного учреждения о болезни, по постановлению педагогического совета могут быть переведены в следующий класс, при условии, если в продолжение учебного года они по всем дисциплинам учебного плана имеют отметки не ниже „3“. Тем больным учащимся, которые имеют отметки ниже „3“ по одному или двум предметам, испытания переносятся на осень.

§ 8.

В этом году испытания во всех школах начинаются с 21 мая, (ввиду того, что 20 мая воскресный день).

Испытания проводятся по следующим предметем и в следующие сроки:

**В V классах** — по родному языку и литературе — устно и письменно, арифметике—устно и письменно, географии, русскому языку (в нерусских школах) устно и письменно; всего 7 испытаний, из них 3 письменных и 4 устных,— 18 календарных дней.

**В VI классах**—по родному языку и литературе—устно и письменно, русскому языку (в нерусских школах)—устно и письменно, алгебре—письменно, биологии, географии; всего 7 испытаний, из них 3 письменных и 4 устных,— 18 календарных дней.

**В VIII классах**—по родной литературе—устно и письменно, русскому языку и литературе (в нерусских школах)— устно и письменно, алгебре—письменно, физике, биологии, геометрии устно, иностранному языку—всего 9 испытаний, из них 3 письменных и 6 устных—25 календарных дней.

BIX классах—по родной литературе—устно и письменно, русскому языку и литературе (в нерусских школах)—устно и письменно, алгебре письменно, геометрии—устно, географии, биологии, иностранному языку; всего 9 испытаний, из них 3 письменных и 6 устных—25 календарных дней.

Примечание: 1. В VI классе испытание по биологии проводится только по ботанике в об'еме курса V и VI классов.

2. В 9 классе испытание по географии проводится в об'еме курса VIII и IX классов.

§ 9.

В школах, где в отношении осиления программного материала по какому-либо учебному предмету имеются отставания, переводные испытания проводятся в об'еме фактически пройденного материала.

§ 10

Переводные испытания по каждому предмету проводит преподаватель в присутствии ассистента, назначаемого директором школы из числа преподавателей того же или родственного предмета. Оценка ассистента принимается во внимание при выводе отметки.

§ 11.

Устные проверочные испытания проводятся по билетам.

Билеты составляет преподаватель данного предмета и за 10 дней до испытаний утверждает директор школы. Билеты должны быть одинаковой степени трудности; каждый билет состоит из двух-трех ясных для понимания учащихся и разборчиво написанных вопросов из различных разделов учебной программы.

По каждому предмету примерно составляется 25—30 билетов. Вопросы всех билетов должны полностью исчерпать всю учебную программу по данному предмету.

Билет во время испытания берет лично учащийся. Если учащийся затрудняется ответить на вопросы, поставленные



ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

во взятом им билете, ему разрешается взять второй билет, но в этом случае ему снижается отметка на единицу. В целях более точного выявления познаний учащихся, преподаватель и ассистент могут задавать учащемуся дополнительные вопросы.

Билет, по которому ответил ученик, в данной группе класса вторично не используется.

§ 12.

На письменных испытаниях дается:

а) По грузинскому языку и литературе в грузинских школах, по родному языку и литературе в армянских, азербайджанских и абхазских школах—в V и VI классах—передача содержания из пройденного литературного материала; в VIII и IX классах—характеристика творчества писателя или разбор отдельного произведения.

б) По русскому языку и литературе—в русских школах—в V классе—диктант, в VI классе—передача содержания, в VIII и IX классах—характеристика творчества писателя или разбор отдельного произведения.

в) По русскому языку во всех нерусских школах в V—VI классах—ответы на вопросы из пройденного материала, в 8—9 классах—передача содержания отрывка, из пройденного материала с предварительным чтением текста преподавателем в классе.

Примечание: Учащимся для сочинения предлагаются две темы; учащимся предоставляется право выбора одной из них.

§ 13.

По математике письменные работы состоят—в V классе—из одной задачи и двух примеров по арифметике; в VI классе—из трех примеров по алгебре (один на вычисление числовой величины алгебраического выражения и два—на тождественные преобразования); в VIII—IX классх—из задачи и двух примеров по алгебре.

Задачи и примеры учащимся даются в двух вариантах одинаковой трудности.

§ 14.

Темы, задачи и примеры по каждому предмету для V VI, VIII и IX классов составляют преподаватели и утверждает директор школы.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 15.

Письменные работы на испытаниях учащиеся выполняют на заранее заготовленных школой листах бумаги, со штампом данной школы.

§ 16.

Испытания производятся по расписанию, утвержденному директором школы. Расписание вывешивается в школе за 10 дней до начала испытаний.

При составлении расписания во внимание принимается:

а) в один день в классе разрешается проводить лишь одно испытание—устное или письменное;

б) На каждое письменное испытание в V и VI классах отводится не более 2 часов, а в VIII и IX классах—не более 3 часов.

в) Перемены обязательны через каждый академический час только при устных испытаниях.

§ 17.

Испытание в классе по одному предмету (устное или письменное) должно закончиться в один день.

Если в классе больше 20 учащихся, при проведении устных испытаний, класс делится пополам; одна половина класса сдает испытание с утра, другая половина—после середины дня.

Устные испытания проводятся в присутствии всех учащихся данного класса или половины его, если класс разделен на две группы; опрошенные учащиеся уходят из класса.

При проведении письменных испытаний, учащиеся, выполнившие работы и сдавшие преподавателю, обязаны оставить класс.

§ 18.

По тем учебным предметам, по которым установлены устные и письменные испытания, сначала проводится письменное испытание.

Письменные работы учащихся преподаватели и ассистенты обязаны проверить и оценить до устных испытаний и сдать директору школы.

### III. Условия перевода и награждения учащихся

§ 19.

Перевод учащихся в следующие классы возможен лишь при условии, если по всем предметам учебного плана они имеют окончательные оценки не ниже „3“.

Вопрос о переводе учащихся из класса в класс разрешается на заседании педагогического совета.

**Примечание:** Окончательные отметки по предметам испытаний выводятся на основе отметок, полученных на испытании и годовых оценок, а по всем остальным предметам—только на основе годовых оценок. Указания об установлении окончательных отметок прилагаются к инструкции.

§ 20.

Учащиеся, получившие на переводных испытаниях более двух отметок ниже „3“, оставляются на повторительный курс в том же классе. Учащиеся, получившие по одному или двум предметам отметки ниже „3“, испытания по этим предметам сдают осенью.

§ 21.

Те учащиеся, которые при отличном поведении по всем предметам получают окончательную отметку „5“, а по рисованию имеют отметки не ниже „3“, награждаются похвальной грамотой.

§ 22.

Учащимся, получившим осенние испытания и ввиду перемены местожительства переводящимся в другие школы, директора (зав.) школ выдают соответствующую справ-

ку с указанием отметок успеваемости; школа, куда переводится учащийся, обязана допустить его на осенние испытания.

§ 23.

Осенние испытания, на основе утвержденного директором школы расписания, проводятся 25—29 августа (включительно).

С расписанием осенних испытаний учащиеся знакомятся до начала летних каникул.

Осенние испытания проводятся в порядке, предусмотренном для весенних испытаний.

§ 24.

Учащиеся, получившие на осенних испытаниях неудовлетворительную отметку хотя бы по одному предмету, оставляются в том же классе. Условные переводы учащихся воспрещаются.

§ 25.

Школа должна оказать помощь в подготовке к осенним испытаниям тем учащимся, отставание которых было вызвано уважительной причиной (организация консультаций, групповых или индивидуальных занятий и др.).

§ 26.

Решение педагогического совета об оставлении учащегося в том же классе или назначении ему осенних испытаний немедленно доводится до сведения родителей учащихся или же их заменяющих.

## V. Переводные испытания в негрузинских школах

§ 27.

В негрузинских школах (русских, армянских, азербайджанских, осетинских и абхазских) переводные испытания проводятся на основе данной инструкции со следующими дополнениями:

а) Кроме предметов, указанных в § 8, испытания проводятся и по грузинскому языку—в VI и IX классах письменные, а в V и VIII классах—только устные.

б) Виды письменных работ в этих школах: в VI классе—ответы на вопросы, в IX классе—передача содержания маленького рассказа, с предварительным чтением преподавателем текста в классе.

### VI. Выпускные экзамены в IV и VII классах

§ 28.

Выпускные экзамены в IV и VII классах начинаются с 20 мая (в этом году 21 мая).

§ 29.

К выпускным экзаменам не допускаются те учащиеся IV и VII классов, которые имеют отметку ниже „3" больше, чем по двум предметам учебного плана. Они оставляются в том же классе.

Те учащиеся, которые допущены к экзаменам и имеют оценки ниже „3" по предмету, не входящему в экзамены, по этому предмету экзамены сдают осенью.

Примечание: оценка по устному и письменному считается за одну отметку.

§ 30.

В том случае, если учащийся на весенних экзаменах получит дополнительно отметку ниже „3" по какому либо предмету и в результате будет иметь отметку ниже „3" больше, чем по двум предметам, к осенним экзаменам не допускается и остается в том же классе.

§ 31.

В IV классе выпускные экзамены проводятся по родному языку—устно и письменно, русскому языку (в нерусских школах)—устно и письменно, арифметике—устно и письменно, истории, географии. Всего 8 экзаменов, из них 3 письменных и 5 устных—20 календарных дней.

В IV классе негрузинских школ, кроме этого, экзамен проводится по грузинскому языку—письменно.

§ 32.

Виды испытательных письменных работ в IV классе:

а) По грузинскому языку в грузинских школах — передача краткого содержания или характеристика действующих лиц, а в негрузинских школах—ответы на вопросы.

б) По русскому языку в русских школах—диктант, в нерусских школах—ответы на вопросы из пройденного материала.

в) По родному языку в армянских, азербайджанских, осетинских и абхазских школах,—передача содержания в пределах пройденного материала или характеристика действующих лиц;

г) По арифметике—одна задача и один пример.

§ 33.

Устные экзамены в IV классе по отдельным предметам проводятся на основе билетов, утвержденных Наркомпросом Грузинской ССР; единые темы письменных работ, текст диктанта,задачу и примеры по арифметике составляютГорОНО и РОНО и перед экзаменами сдают школам. Вопросы для ответов по грузинскому языку для негрузинских школ и русскому языку для нерусских школ составляются в школах и утверждаются директором (зав.) школы.

Для выполнения экзаменационных письменных работ учащимся IV классов дается не более 2 часов.

§ 34.

В VII классе выпускные экзамены проводятся по родному языку и литературе—устно и письменно, русскому языку (в нерусских школах)—устно и письменно, алгебре только устно, геометрии, истории, конституции СССР, географии, физике, биологии и иностранному языку (в русских и грузинских школах). Всего 12 экзаменов, из них 2 письменных и 10 устных—30 календарных дней.

В VII классе армянских, азербайджанских и абхазских школ вместо иностранного языка экзамен проводится по грузинскому языку—письменно.

Примечание: 1. Устный экзамен по родному языку и литературе оценивается одной отметкой, то же по алгебре и арифметике.

2. В том случае, когда в отношении осиления программного материала 7 класса имеется большое отставание, экзамены по этому предмету, по согласованию вопроса с Наркомпросом, можно отложить на осень. Занятия по тем предметам, по которым имеются отставания, продолжаются летом.

§ 35.

Виды экзаменационных письменных работ в VII классе:

а) по грузинскому языку и литературе в грузинских школах — характеристика действующих лиц из пройденного произведения, а в негрузинских школах—передача содержания пройденного маленького рассказа, с предварительным чтением текста в классе.

б) по русскому языку и литературе в русских школах—диктант и изложение из пройденного материала, а в нерусских школах—передача содержания пройденного маленького расказа—с предварительным чтением текста в классе.

в) по родному языку и литературе в армянских, азербайджанских и абхазских школах—характеристика действующих лиц из пройденного литературного произведения.

Примечание: а) Темы по родному языку и литературе даются Наркомпросом Грузинской ССР и через ОНО рассылаются директорам школ в день испытаний; по грузинскому языку для негрузинских школ и русскому языку для нерусских школ темы составляются на месте и утверждаются директором школы.

б) Для выполнения экзаменационных письменных работ учащимся VII классов дается не более 3 часов.

в) по родному языку и литературе письменное испытание проводится в этом году 24 мая.

Учащимся IV и VII классов, которые ввиду тяжелой болезни не могут явиться на экзамены и имеют об этом соответствующее заключение школьного врача или лечебного учреждения, экзамены откладываются на осень.

## § 37.

Выпускные экзамены за курс начальной и семилетней школы проводит комиссия в составе: директора (зав.) школы - председатель, учителя, преподающего данный предмет и ассистента по назначению директора (зав.) школы и представителя районного и городского отдела народного образования.

Примечание: В случае занятости директора школы на экзаменах в 10 классах, обязанности председателя экзаменнционной комиссии в IV и VII классах возлагаются на зав. учебной частью или на одного из членов этой комиссии.

В состав членов экзаменационной комиссии в IV классе могут входить лица, имеющие образование не ниже педагогического училища, а в VII классе—учительского института.

Если директор (зав) школы и преподаватель предмета, по которому проводится экзамен, не имеют соответствующего образовательного ценза, состав экзаменационной комиссии устанавливает ГорОНО и РОНО.

Примечание: В состав экзаменационной комиссии могут входить лица, которые по аттестации имеют персональное звание учителя начальной и средней школы, а также те преподаватели IV класса, которые числятся на втором курсе заочного педагогического института, а в VII классе преподаватели, перешедшие на III курс.

Экзамены учащихся однокомплектных и двухкомплектных начальных школ проводятся в одной из ближайших школ по указанию ГорОНО и РОНО, последним определяется также состав межшкольных экзаменационных комиссий.

В этих случаях свидетельства об окончании начальной школы выдаются учащимся за подписью членов комиссии, производившей экзамены, но от имени каждой школы в отдельности.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## VII. Условия выпуска и награждения учащихся IV и VII классов

### § 38.

Учащиеся начальной и семилетней школы считаются окончившим курс и получают соответствующие свидетельства в том случае, если по всем предметам учебного плана имеют окончательные отметки не ниже „3“, а по поведению „5“.

Окончательная отметка по предметам экзаменов выставляется на основе отметок, полученных на экзамене и годовых отметок. По остальным предметам выставляется только годовая отметка.

### § 39.

Учащийся, получивший окончательную отметку ниже „3“ больше чем по двум предметам, остается в том же классе; учащиеся, получившие также отметки ниже „3“ не более, как по двум предметам, — повторные испытания по этим предметам сдают осенью.

### § 40.

Учащимся IV и VII классов, которые хотя и удовлетворяют условиям выпуска изложенным в параграфе 39, но не имеют за год отличной отметки по поведению, получают лишь справку об окончании школы, а не свидетельство.

Учащиеся, получившие по предметам учебного плана окончательную отметку „5“ при отличном поведении награждаются похвальными грамотами.

### § 41,

Соответствующие пункты данной инструкции об организации переводных испытаний распространяются на выпускные испытания учащихся IV и VII классов.

## VIII. Отчетность по испытаниям и экзаменам

### § 42.

Все письменные работы, выполненные учащимися, а также билеты, по которым проводились испытания, хранятся в школе.

§ 43.

Преподаватель, проводивший испытание по предмету, по окончании испытания сдает директору (зав.) школы аккуратно и по форме составленный протокол испытания с обозначением оценки познаний учащихся (см. форму протокола испытаний).

§ 44.

Общие итоги переводных и выпускных испытаний обсуждаются на заключительном заседании педагогического совета.

§ 45.

Издание каких-либо местных инструкций по организации переводных и выпускных испытаний воспрещается. Категорически воспрещается также требовать от директора (зав.) каких-либо сведений об испытаниях, не установленных статотчетностью.

Начальник Управления Начальной и Средней
Школы Наркомпроса Грузинской ССР

**Уш. Оболадзе**

დამტკიცებულია საქართველოს სსრ განა-
თლების სახალხო კომისარის ვ. კუპრაძის
მიერ. 1945 წ. 3 მარტი.

ბიბლიოთეკა

## მითითებანი დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლის მოსწავლეთა ცოდნისა და ყოფაქცევის შეფასებისას ხუთბალიანი ციფრობრივი სისტემის გამოყენების შესახებ.

### I. საერთო მითითებანი

1. მოსწავლეთა წარმატებისა და ყოფაქცევის შეფასება წარმოებს „სკოლებში მოსწავლეთა წარმატებისა და ყოფაქცევის ციფრობრივი ხუთ ბალიანი შეფასების სისტემის შემოღების შესახებ“ საქართველოს სსრ განსახკომის 1944 წ. 12 იანვრის ბრძანების საფუძველზე.

2. შეფასება — ნიშანი იწერება მთელი რიცხვებით (5, 4, 3, 2, 1). შერეული რიცხვებით (1,5; 2,5; 3,5 და ა. შ.) ან „პლიუსით“ ან „მინუსით“ (±) წარმატების გამოხატვა დაუშვებელია.

### II. ცოდნის მიმდინარე შეფასება

3. ცოდნის მიმდინარე შეფასებისას ნიშანი „5“ დაეწერება იმ მოსწავლეს, რომელიც გამოიჩენს პროგრამით გათვალისწინებული თემის ან განყოფილების ყველა დეტალის სა[illegible]ებით შეგნებულ, მტკიცე და საფუძვლიან ცოდნას, მსჯელობს სწორად და შეუცდომლად, არ საჭიროებს მასწავლებლის დახმარებას და უმნიშვნელო ჩარევასაც კი, ლაპარაკობს და წერს გამართული ლიტერატურული ენით, შესრულებული აქვს ყველა დაწესებული სავარჯიშო და შესწევს უნარი თავისუფლად გამოიყენოს პრაქტიკულად თავისი ცოდნა.

4. ნიშანი „4“ დაეწერება იმ მოსწავლეს, რომელიც გამოიჩენს პროგრამით გათვალისწინებული თემის ან განყოფილების მტკიცე და საფუძვლიან ცოდნას, მსჯელობს სწორად და შეუცდომლად, არ საჭიროებს მასწავლებლის დახმარებას, ლაპარაკობს და წერს გამართული ლიტერატურული ენით, შესრულებული აქვს დაწესებული ძირითადი სავარჯიშოები და შესწევს უნარი გამოიყენოს თავისი ცოდნა პრაქტიკულად.

5. ნიშანი „3“ დაეწერება იმ მოსწავლეს, რომელმაც იცის თემის ან განყოფილების ყველა საკითხი, მაგრამ ზოგიერთი მათგანი ღრმად არა აქვს დაუფლებული, ლაპარაკისა და წერის დროს უშვებს შეცდომებს, მაგრამ არა უხეში ხასიათისას, შესწევს უნარი მიღებული ცოდნა პრაქტიკულად გამოიყენოს, განაგრძოს სწავლა და დასძლიოს და შეითვისოს პროგრამით გათვალისწინებული მომდევნო კურსი.

6. ნიშანი „2“ დაეწერება იმ მოსწავლეს, რომელმაც არ იცის პროგრამით გათვალისწინებული თემის ან განყოფილების დიდი ნაწილი, პასუხს იძლევა მხოლოდ მასწავლებლის მიერ დასმულ მიმახვედრებელ კითხვებზე და ისიც გულდაუჯერებლად, ლაპარაკისა და წერის დროს უშვებს უხეშ შეცდომებს და არა აქვს შესრულებული პრაქტიკული სავარჯიშოების უდიდესი ნაწილი.

7. ნიშანი „1“ დაეწერება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლე პროგრამით გათვალისწინებული თემის ან განყოფილების სრულ უცოდინარობას იჩენს.

8. მოსწავლის შეფასება უნდა მოხდეს იმ ცოდნის მიხედვით, რაც მან გამოიჩინა ამ გამოკითხვის დროს, მაგრამ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული წინაგამოკითხვის დროს დაწერილი ნიშანიც.

9. მიმდინარე შეფასების ნიშნები აუცილებლად იწერება საკლასო ჟურნალში და აგრეთვე მასწავლებლის უბის წიგნაკში.

## III. ცოდნის შეფასება მეოთხედის ბოლოს

10. იმ შემთხვევაში, როდესაც მეოთხედის ბოლოს წარმოებს მოსწავლის ცოდნის შემოწმება მეოთხედის განმავლობაში გავლილი მთელი მასალის ფარგლებში, მეოთხედურ შეფასებას საფუძვლად უნდა დაედოს ის ნიშანი, რაც ამ შემოწმების დროს დაეწერა მოსწავლეს და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე ის ნიშნებიც, რაც მეოთხედის განმავლობაში აქვს მოსწავლეს მიღებული.

**შენიშვნა:** მეოთხედის განმავლობაში გავლილი მთელი მასალის ფარგლებში მოსწავლის გამოკითხვის დროს ნიშნები იმავე წესით იწერება, როგორც ცოდნის მიმდინარე შეფასებისას (იხილე მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7 მუხლები).

11. იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლეთა გამოკითხვა მეოთხედის განმავლობაში გავლილი მთელი მასალის ფარგლებში არ სწარმოებს, არამედ მეოთხედის ნიშნის დაწერა მიმდინარე შეფასებათა საფუძველზე ხდება, — მეოთხედურ შეფასებას

საფუძვლად უნდა დაედოს ის ნიშანი, რაც უკანასკნელად მიიღო მოსწავლემ და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე ის ნიშნებიც, რაც მოსწავლეს მეოთხედის განმავლობაში აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## IV წლიური ნიშნის დადგენის წესი

12. წლიური ნიშანი იწერება ოთხივე მეოთხედურ ნიშნების საფუძველზე.

13. წლიური ნიშანი „5" დაიწერება იმ შემთხვევაში:

ა) როდესაც ოთხივე მეოთხედის მეოთხედურ ნიშნების საშუალო არითმეტიკული არის 5 ან 4,5-ზე მეტია;

ბ) როდესაც ოთხივე მეოთხედის ნიშნების საშუალო არითმეტიკული 4,5, მაგრამ მოსწავლეს პირველ და მეორე მეოთხედებში უფრო დაბალი ნიშნები აქვს, ვიდრე მესამე და მეოთხე მეოთხედებში, ან მეორე და მესამე მეოთხედებში აქვს უფრო დაბალი ნიშნები, ვიდრე პირველსა და მეოთხე მეოთხედებში.

მაგალითად: მოსწავლეს, რომელსაც აქვს საგანში მეოთხედების მიხედვით „4", „4", „5", „5", ან „5", „4", „4", „5" დაეწერება; — „5", მაგრამ იმ მოსწავლეს, რომელსაც აქვს „5", „5", „4", „4",— დაეწერება—„4".

14. წლიური ნიშანი „3" იმ შემთხვევაში დაიწერება:

ა) როდესაც ოთხივე მეოთხედის საშუალო არითმეტიკული არ არის 3-ზე ნაკლები;

ბ) როდესაც ოთხივე მეოთხედის საშუალო არითმეტიკული არ არის 3, მაგრამ 2,5-ზე მეტია და მოსწავლეს მეოთხე მეოთხედში აქვს ნიშანი არა ნაკლებ „3"-სა.

მაგალითად: მოსწავლეს, რომელსაც აქვს საგანში მეოთხედების მიხედვით „3", „2", „3", „3" ანდა „2", „3", „2", „3" შეიძლება დაეწეროს „3", მაგრამ ისეთ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს აქვს „3", „3", „3", „2", ანდა „3", „3", „2", „2" მას დაეწერება „2".

15. ყველა დანარჩენ შემთხვევაშიაც წლიური ნიშნის გამოყვანა უნდა მოხდეს ოთხივე მეოთხედის ნიშნების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული უკანასკნელი მეოთხედის ნიშანი. ყველა ისეთ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლეს უკანასკნელ ორ მეოთხედში უფრო კარგი ნიშნები აქვს, ვიდრე პირველ და მეორე მეოთხედებში, უნდა დაიწეროს უფრო მაღალი ნიშნით,

მაგალითად: მოსწავლეს, რომელსაც საგანში მეოთხედების მიხედვით აქვს „3", „3", „4", „4", — შეიძლება დაიწეროს „4", მაგრამ იმ მოსწავლეს, რომელსაც აქვს „4", „4", „3", „3" — დაეწერება — „3".

## V საერთო ნიშნის დადგენა წერითი და ზეპირი ნიშნის საფუძველზე

16. მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში და აგრეთვე რუსულ ენაში არარუსულ სკოლებში და ქართულ ენაში არაქართულ სკოლებში დასამთავრებელი და კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდების დროს:

ა) საერთო ნიშანი „3" მოსწავლეს ეწერება იმ შემთხვევაში, როდესაც წერაშიაც და ზეპირშიაც ცალცალკე აქვს ნიშანი არანაკლებ „3"-სა. წერაში „2" მქონე მოსწავლეს, რაც უნდა მაღალი ნიშანი ჰქონდეს ზეპირში, არ შეიძლება დაეწეროს საერთო ნიშანი „3", ასევე ზეპირში „2" მქონე მოსწავლეს, რაც მაღალი ნიშანი არ უნდა ჰქონდეს მას წერაში, არ შეიძლება დაეწეროს „3" — ასეთ შემთხვევებში მოსწავლეს ეწერება „2".

ბ) საერთო ნიშანი „4" მოსწავლეს ეწერება იმ შემთხვევაში, როდესაც წერაშიაც და ზეპირშიც ცალცალკე აქვს ნიშანი არანაკლებ „4" ან წერაში აქვს „3", ხოლო ზეპირში „5", ანდა პირიქით — ზეპირში აქვს — „5", ხოლო წერაში — „3".

გ) საერთო ნიშანი „5" მოსწავლეს მხოლოდ იმ შემთხვევაში ეწერება, თუ წერაშიაც და ზეპირშიაც ცალცალკე აქვს „5". მოსწავლეს, რომელსაც წერაში „5" აქვს და ზეპირში „4", ანდა ზეპირში „5" აქვს, ხოლო წერაში „4", — საერთო ნიშნად „4" ეწერება.

17. არითმეტიკაში, ალგებრაში, გეომეტრიაში და ტრიგონომეტრიაში დასამთავრებელი და კლასიდან კლაში გადასაყვანი გამოცდების დროს:

ა) საერთო ნიშანი „3" მოსწავლეს ეწერება იმ შემთხვევაში, როდესაც მას წერაშიაც და ზეპირშიც ცალცალკე აქვს ნიშანი „3", ან წერაში აქვს „2", ხოლო ზეპირში აქვს „3"-ზე მაღალი ნიშანი.

ბ) ნიშანი „4" მოსწავლეს ეწერება იმ შემთხვევაში, როდესაც მას წერაშიაც და ზეპირშიაც ცალცალკე აქვს ნიშანი „4", ანდა პირიქით, ზეპირში აქვს „4", ხოლო წერაში — „3".

გ) ნიშანი „5" მოსწავლეს ეწერება იმ შემთხვევაში, როდესაც მას წერაშიაც და ზეპირშიაც ცალცალკე აქვს ნიშანი „5", ან წე-

რაში აქვს „4“, მაგრამ ზეპირში — „5“, ანდა პირიქით — ზეპირში აქვს „4“ ხოლო წერაში — „5“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შენიშვნა:** სიმწიფის ატესტატზე გამოცდის ჩაბარებისას საერთო ნიშანი „5“ იმ შემთხვევაში იწერება, როდესაც მოსწავლეს როგორც წერაში, ასევე ზეპირში „5“ აქვს.

## VI საბოლოო ნიშნის დადგენა წლიური და საგამოცდო ნიშნების საფუძველზე

18. საშუალო სკოლის დასამთავრებლად სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩაბარების დროს საბოლოო ნიშნად გამოცდებზე მიღებული ნიშანი ითვლება და ატესტატშიაც ეს ნიშანი იწერება.

19. IV და VII კლასის დამთავრებისას, აგრეთვე კლასიდან კლასში გადაყვანის დროს, იმ საგნებში, რომლებიც საგამოცდოა, მოსწავლეს საბოლოო ნიშანი ეწერება წლიური და საგამოცდო ნიშნების შეფარდების საფუძველზე, ხოლო არასაგამოცდო საგნებში საბოლოო არის წლიური ნიშანი.

20. წლიური და საგამოცდო ნიშნების შეფარდება წარმოებს შემდეგი წესით:

ა) იმ შემთხვევაში, როდესაც გამოცდაზე მიღებული ნიშანი იგივეა, რაც წლიური ნიშანი ან გამოცდაზე მიღებული ნიშანი ერთი ერთეულით მეტია წლიური ნიშანზე, მოსწავლეს საბოლოოდ ეწერება გამოცდაზე მიღებული ნიშანი.

**მაგალითად:** იმ მოსწავლეს, რომლის წლიური ნიშანი არის „4“ და საგამოცდო ნიშანიც „4“, აგრეთვე იმ მოსწავლეს, რომლის წლიური ნიშანი აქვს „3“, ხოლო საგამოცდო ნიშანი „4“, საბოლოო ნიშნად „4“ დაეწერება.

ბ) იმ შემთხვევაში, როდესაც გამოცდაზე მიღებული ნიშანი მეტია (წლიურ ნიშანზე ან წლიურ ნიშანი მეტია საგამოცდო ნიშანზე) და წლიური და საგამოცდო ნიშნების ჯამი იყოფა ორზე, მოსწავლეს საბოლო ნიშანად ეს საშუალო ნიშანი ეწერება.

**მაგალითად:** ა) იმ მოსწავლეს, რომლის წლიური ნიშანი არის „3“, ხოლო საგამოცდო ნიშანი „5“, ანდა პირიქით, წლიური ნიშანი არის 5, ხოლო საგამოცდო ნიშანი „3“, საბოლოო ნიშნად დაეწერება „4“.

ბ) ისეთ გამონაკლისს შემთხვევებში, როდესაც საგამოცდო ნიშანი ორი და მეტი ერთეულით არის განსხვავებული წლიური ნიშანისაგან და წლიური და საგამო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცდო ნიშნების ჯამი არ იყოფა ორზე, მოსწავლეს დაეწერება: 1) თუ საგამოცდო ნიშანი მეტია წლიურ ნიშანზე—უფრო მაღალი ნიშანი, 2) ხოლო, თუ საგამოცდო ნიშანი ნაკლებია წლიურ ნიშანზე--უფრო დაბალი ნიშანი.

მაგალითად: მოსწავლეს, რომელსაც წლიურ ნიშნად „2" აქვს, ხოლო საგამოცდო ნიშნად „5", დაეწერება 4, მაგრამ, თუ მოსწავლეს წლიურ ნიშნად „5" აქვს, მაგრამ საგამოცდო ნიშნად „2" — დაეწერება „3".

## VII. ყოფაქცევის შეფასება

21. ნიშანი „5" დაეწერება იმ მოსწავლეს, რომელიც სკოლასა და სკოლის გარეთ ზუსტად იცავს მოსწავლის ყოფაქცევის წესებით გათვალისწინებულ ყველა მუხლს.

22. ნიშანი „4" დაეწერება იმ მოსწავლეს, რომელმაც ზუსტად არ დაიცვა ყოფაქცევის წესები და მნიშვნელოვნად დაარღვია იგი.

23. ნიშანი „3" დაეწერება იმ მოსწავლეს, რომელიც არღვევს წესებს და გამოიჩინა მოსწავლის ღირსების შემლახავი საქციელი.

24. ნიშანი „2" დაეწერება იმ მოსწავლეს, რომელმაც უხეშად დაარღვია წესები, ჩაიდინა მოსწავლისათვის ყოვლად შეუფერებელი მოქმედება და გაირიცხება სკოლიდან.

25. ნიშანი „4" შეიძლება ჰქონდეს მოსწავლეს მხოლოდ ერთ მეოთხედში, თუ ამ ნიშნის მქონე მოსწავლე მისთვის მიცემულ ვადაში არ გამოსწორდება, პედაგოგიური საბჭო იხილავს საკითხს ამ მოსწავლის ნიშნის შემდგომი დაკლების შესახებ.

ნიშანი „3" წარმოადგენს მოსწავლის გაფრთხილებას, რომ ის გაირიცხება სკოლიდან. ისეთ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლეს ყოფაქცევაში აქვს ეს ნიშანი და დაწესებულ ვადაში არ გამოსწორდება, მისი საკითხი სკოლიდან გარიცხვის, თუ პირობითი ვადის განახლების შესახებ, განიხილება პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე.

26. სკოლის დამთავრების ატესტატი და მოწმობა მიეცემა მხოლოდ იმ მოსწავლეს, რომელსაც ყოფაქცევაში აქვს ნიშანი „5". ეს ნიშანი უნდა ჩაიწეროს ატესტატსა და მოწმობაში შემდეგი სახით: „ყოფაქცევაში — „5" (წარჩინებული).

**საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს**

**უფროსი შ. ოზოლაძე**

1945 წ. 3/III.

УТВЕРЖДАЮ
Народный Комиссар Просвещения
Грузинской ССР В. Д. Купрадзе
3/III-1945 года

**Указания о применении в начальных, семилетних и средних школах цифровой пятибалльной системы оценки успеваемости и поведения учащихся**

## 1. Общие указания.

1. Оценка успеваемости и поведения учащихся производится на основе приказа Народного Комиссариата Просвещения Грузинской ССР от 12/1-1944 г. „О введении в школах цифровой пятибалльной системы оценки успеваемости и поведения учащихся"

2. Оценка-отметка пишется целыми числами (5, 4, 3, 2, 1) Оценку успеваемости писать дробными числами $1^1/_2$, $2^1/_2$, $3^1/_2$ и т. д.) не допускается.

## 2. Текущая оценка знаний.

3. При текущей оценке знаний балл „5" ставится учащемуся, который обнаруживает сознательные, прочные и основательные познания всех деталей темы или раздела учебной программы, рассуждает правильно и безошибочно не нуждается в помощи и даже в незначительном вмешательстве преподавателя, в устных ответах и письменных работах пользуется литературно правильным языком, выполнил все установленные упражнения и умеет свободно применять практически полученные им знания.

4. Балл „4" ставится учащемуся, который обнаружил прочное и основательное знание темы или раздела учебной программы, рассуждает правильно и безошибочно, не нуждается в помощи преподавателя, в устных ответах и письменных работах пользуется литературно правильным языком, выполнил установленные основные упражнения и умеет практически применять полученные знания.

5. Балл „3" ставится учащемуся, который знает все вопросы темы или раздела, но не по всем из них обнаруживает основательные познания, в устных ответах и письменных работах допускает незначительные ошибки, умеет практически применять полученные знания, может продолжить учебу, преодолеть и усвойть последующий курс, предусмотренный по учебной программе.

6. Балл „2" ставится ученику, который обнаруживает незнание большой части темы или раздела учебной программы, отвечает только на наводящие вопросы учителя и то неуверенно, в устных ответах и письменных работах допускает грубые ошибки, не выполнил большую часть практических заданий.

7. Балл „1" ставится в том случае, когда учайщися обнаруживает полное незнание темы или раздела учебной программы.

8. Оценка учащегося должна производится по тем знаниям, которые обнаруживает он при опросе. но во внимание принимается и предыдущая оценка.

9. Текущая оценка знаний обязательно заносится в классный журнал, а также в записную книжку преподавателя.

### 3. Оценка знаний учащегося в конце четверти.

10. В том случае, когда опрос учащегося производится в конце четверти в об'еме всего пройденного материала в продолжении четверти,—за основу четвертной оценки нужно принять отметку, которую получил учащийся при этом опросе, во внимание принимаются также оценки, полученные им в продолжении четверти.

**Примечание:** При определении знаний учащегося в об'еме пройденного материала в продолжении четверти, отметки-оценки ставятся по тому же правилу, как и при текущей оценке (см. 3, 4, 5, 6, 7 пункты).

11. В том случае, когда опрос учащегося в конце четверти производится не в об'еме всего пройденного матери-

ала в продолжении четверти, а четвертная отметка ставится на основе текущей оценки, в основу четвертной оценки нужно принять ту отметку, которую получил учащийся в последний раз, с учетом оценок, полученных учащимся в продолжении учебной четверти.

### 4. Правило установления годовой оценки

12. Годовая оценка выводится на основе четвертных оценок.

13. Годовой балл „5" ставится в том случае:

а) когда средняя арифметическая всех четвертных отметок есть „5" или больше $4^1/_2$.

б) когда средняя арифметическая всех четвертных оценок—$4^1/_2$, но учащийся в первой и во второй четверти имел более низкие оценки, нежели в последних четвертях, или во второй и третьей четверти имел более низкую оценку, чем в первой и четвертой четверти.

**Например:** учащемуся, который по предмету в четвертях имел „4", „4", „5", „5", или „5", „4", „4", „5",— ставится „5", но ученику, который имел оценки „5", „5", „4", „4",—ставится „4"

14. Годовая оценка „3" ставится в том случае:

а) когда средняя арифметическая всех четвертных оценок не меньше „3"

б) когда средняя арифметическая меньше 3-х, но больше $2^1/_2$ и учащийся в четвертой четверти имеет оценку не меньше „3".

**Например:** учащемуся, который по предмету в четвертях имеет „3", „2", „3", „3" или „2", „3", „2", „3",—можно поставить „3", но в том случае, когда ученик имеет „3", „3", „3", „2" или „3", „3", „2", „2",—ставится „2".

15. Во всех остальных случаях выведение годовой отметки необходимо на основе средней арифметической четвертных оценок, с учетом оценки последней четверти. Во всех тех случаях, когда учащийся в двух последних четвертях имел более высокую оценку, нежели в первых,—следует ставить высшую оценку.

Например: учащемуся, который по предмету в четвертях имеет „3“, „3“, „4“, „4“, можно ставить „4“, по ученику, который имеет „4“, „4“, „3“, „3“,—ставится „3“.

## 5. Установление общей отметки на основе письменной и устной оценки

16. По родному языку и литературе, а также по русскому языку в нерусских школах и грузинскому языку в негрузинских школах при выпускных и переводных испытаниях:

а) общая оценка „3“ ученику ставится в том случае, когда по устному и письменному отдельно имеет не меньше „3“. Ученику, который по письменному имеет „2“, несмотря на любую высокую оценку по устному, нельзя ставить общую оценку „3“, и в том случае, если ученик по устному имеет оценку „2“, а по письменному высокую оценку, нельзя ставить „3“,—в таких случаях ученику следует ставить „2“.

б) общая оценка-отметка „4“ ученику ставится в том случае, когда по письменному и устному отдельно имеет не меньше „4“ или по письменному имеет „3“, а по устному имеет „5“

в) Общая отметка „5“ ученику ставится в том случае, если по письменному и устному отдельно имеет „5“. Ученику, имеющему по устному „4“, а письменному „5“ или наоборот—по устному „5“ и письменному „4“, ставится „4“.

17. По арифметике, алгебре и геометрии при выпускных и переводных испытаниях:

а) общая отметка „3“ учащемуся ставится в том случае, когда он по письменному и устному отдельно имеет оценку „3“, или по письменному имеет „2“ а по устному оценку выше „3“.

б) отметка „4“ учащемуся ставится в том случае, когда он по письменному и устному отдельно имеет „4“, или по письменному имеет „3“, но по устному „4“ или же наоборот, по устному имеет „4“, а письменному „3“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

г) балл „5“ учащемуся ставится в том случае, когда он по письменному и устному отдельно имеет оценку „5“ или по письменному имеет „4“ но по устному „5“ или наоборот—по письменному имеет „5“, а устному „4“.

Примечание: При сдаче экзаменов на аттетат зрелости „5“ ставится в том случае, когда учащийся как по письменному, так и устному имеет оценку „5“.

### 6. Установление окончательной оценки на основе годовой и экзаменационной оценки

18. При сдаче экзаменов на аттестат зрелости окончательной оценкой является оценка, которую получил ученик на экзаменах и эта оценка заносится в аттестат.

19. При окончании 4-го и 7-го классов, а также переводных испытаниях по испытательным предметам итоговая оценка устанавливается на основе годовой и экзаменационной оценок, а по неиспытательным предметам итоговой оценкой является годовая оценка.

20. Устоновление окончательной оценки на основе годовой и экзаменационной оценок производится следующим образом:

а) в том случае, когда экзаменационная и годовая оценки одинаковы или экзаменационная оценка на одну единицу больше годовой, учащемуся ставится экзамецибонная оценка:

Например: ученику, который годовую оценку и экзаменационную оценку имеет „4“, „4“, а также ученику, имеющему годовую оценку „3“, а экзаменационную „4“,—ставится „4“

б) в том случае, когда экзаменационная оценка больше годовой оценки, или годовая больше экзаменационной оценки и сумма этих оценок прямо делится на 2,—ученику ставится средняя отметка.

Например: ученику, получившему годовую оценку „3“, а экзаменационную отметку „5“, или наоборот—годовую „5“, а экзаменационную „3“,—ставится „4“.

в) в том исключительном случае, когда экзаменционная оценка на 2 или больше единицы превышает годовую оценку и сумма их прямо не делится на два, ученику ставится:

1. Если экзаменационная оценка выше годовой оценки,—высшая оценка.

2. Если экзаменационная оценка меньше годовой оценки,—низшая оценка.

Например: ученику, имеющему годовую оценку „2", а экзаменационную „5",—ставится „4", но если учащийся годовую оценку имеет „5", а экзаменационную „2",—ставится „3".

## 7. Оценка поведения.

21. Оценка—балл—„5" ставится учащемуся, который как в школе, так и вне школы точно и аккуратно выполняет все пункты правил для учащихся.

22. Балл „4" ставится учащемуся, который не выполнил точно правил для учащихся и чуствительно нарушил их.

23. Балл „3" ставится ученику, который нарушил правила и допустил поступок не подобающий ученику.

24. Балл „2" ставится учащемуся, который грубо нарушил правила, допустил поступок совершенно не подобающий ученику и искючен из школы.

25. Балл „4" учащийся может иметь только в одной четверти. И если ученик, имеющий по поведению балл „4", в данный ему срок не исправится, педагогический совет рассматривает вопрос о снижении ему оценки по поведению

Балл „3" является предупреждением для ученика об исключении его из школы. В том случае, когда учащийся, имеющий по поведению „3" не исправится в устоновленний срок, вопрос об исключении его из школы или о продлении условного срока, рассматривается на заседании педагогического совета.

26. Аттестат и свидетельство об окончании школы выдается только такому учащемуся, который по поведению имеет оценку „5", этот балл заносится в атестат и свидетельство в следующем виде— по поведению „5". (отлично)

Начальник управления начальных средних школ
Наркомпроса Грузинской ССР Уш. ОБОЛАДЗЕ

ვამტკიცებ. განათლების სახალხო კომისარი ვ. კუპრაძე, 1945 წლის 8 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ინსტრუქცია კურსდამთავრებულთა მოწმობებისა, სიმწიფის ატესტატებისა და გადასაყვანი მოწმობების დაბეჭდვის, შენახვის, გაცემისა და ანგარიშგების შესახებ

სკოლაში სასწავლო მუშაობის ორგანიზაციისა და შინაგანაწესის შესახებ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის 3 სექტემბრის დადგენილებისა, „სკოლაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წ. 21 ივნისის დადგენილებისა, და კურსდამთავრებულთა მოწმობებისა სიმწიფის ატესტატების დაბეჭდვის, შენახვის, გაცემისა და ანგარიშგების წესის შესახებ საქართველოს სსრ სადირექტივო ორგანოების დადგენილების განსახორციელებლად შემოღებულია შემდეგი სავალდებულო წესები:

§

საქართველოს სსრ განსახკომის სისტემაში შემავალი სკოლებისათვის დაწესებულია შემდეგი სახის მოწმობები და სიმწიფის ატესტატები:

ა) დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლებისათვის:

1. დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების ოთხი კლასის დამთავრების მოწმობა,
2. შვიდწლიანი და საშუალო სკოლების შვიდი კლასის დამთავრების მოწმობა,
3. საშუალო სკოლის კურსის მოსმენის მოწმობა,
4. სიმწიფის ატესტატი—ჩვეულებრივი,
5. სიმწიფის ატესტატი—ვერცხლის მედლით დაჯილდოებულთათვის,
6. სიმწიფის ატესტატი—ოქროს მედლით დაჯილდოებულთათვის,
7. 1944 წლამდე საშუალო სკოლის კურსის დამთავრების მოწმობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) პედაგოგიური სასწავლებლებისათვის:

1. პედაგოგიური სასწავლებლის სასკოლო განყოფილების კურსის დამთავრების ატესტატი,

2. პედაგოგიური სასწავლებლების სკოლამდელი განყოფილების კურსის დამთავრების ატესტატი,

3. დაუსწრებელი პედაგოგიური სასწავლებლის კურსის დამთავრების ატესტატი,

4. 1944 წლამდე პედაგოგიური სასწავლებლის კურსის დამთავრების მოწმობა.

გ) მოზრდილთა სკოლებისათვის:

1. სოფლის ახალგაზრდობის დაწყებითი და შვიდწლიანი საღამოს სკოლის ოთხი კლასის დამთავრების მოწმობა,

2. სოფლის ხალგაზრდობის შვიდწლიანი საღამოს სკოლის დამთავრების მოწმობა,

3. მუშა ახალგაზრდობის სკოლასთან არსებული მოსამზადებელი კლასის დამთავრების მოწმობა,

4. მოზრდილთა მაღალი ტიპის სკოლებთან არსებული მოსამზადებელი კლასის დამთავრების მოწმობა,

5. მუშა ახალგაზრდობის შვიდწლიანი სკოლის დამთავრების მოწმობა,

6. მოზრდილთა მაღალი ტიპის შვიდწლიანი სკოლის დამთავრების მოწმობა,

7. მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლის კურსის მოსმენის მოწმობა,

8. მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლის სიმწიფის ატესტატი—ჩვეულებრივი,

9. მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლის სიმწიფის ატესტატი—ვერცხლის მედლით დაჯილდოებულთათვის,

10. მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის სიმწიფის ატესტატი—ოქროს მედლით დაჯილდოებულთათვის,

11. მოზრდილთა მაღალი ტიპის საშუალო სკოლის კურსის მოსმენის მოწმობა

12. მოზრდილთა მაღალი ტიპის საშუალო სკოლის სიმწიფის ატესტატი—ჩვეულებრივი,

13. მოზრდილთა მაღალი ტიპის საშუალო სკოლის სიმწიფის ატესტატი ვერცხლის მედლით დაჯილდოებულთათვის,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

14. მოზრდილთა მაღალი ტიპის საშუალო სკოლის სიმწიფის ატესტატი—ოქროს მედლით დაჯილდოებულთათვის,

15. 1944 წლამდე მოზრდილთა საშუალო სკოლის დამთავრების მოწმობა.

### დ) პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებლებისათვის:

1. პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებლის საკლუბო განყოფილების დამთავრების ატესტატი,

2. პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებლის საბიბლიოთეკო განყოფილების დამთავრების ატესტატი.

### ე) ექსტერნებისათვის:

1. შვიდწლიანი სკოლის კურსის ექსტერნად დამთავრების მოწმობა,

2. სიმწიფის ატესტატი—ექსტერნებისათვის,

3. პედაგოგიური სასწავლებლის კურსის ექსტერნად დამთავრების ატესტატი,

4. პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებლის კურსის ექსტერნად დამთავრების ატესტატი.

შენიშვნა: 1941, 1942, 1943 და 1944 წლებში საშუალო სკოლის, დაგოგიური სასწავლებლისა და მოზრდილთა საშუალო სკოლის იმ კურსდამთავრებულებს, რომლებსაც ჰქონდათ საშუალო სკოლის ან პედაგოგიური სასწავლებლის, ანდა მოზრდილთა საშუალო სკოლის კურსის დამთავრების ატესტატი სწავლაში წარჩინებულთათვის სათანადო სკოლების მიერ ეძლევათ ცნობა, რომელშიაც აღნიშნული იქნება ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული შეფასება (ნიშანი). ცნობა დაერთვის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა მოწმობას.

### § 2.

ა) საქართველოს სსრ განსახკომის სისტემაში შემავალი ყველა ტიპისა და ეროვნების სკოლისათვის მოწმობები და სიმწიფის ატესტატები იბეჭდება ორ ენაზე: ქართულსა და რუსულზე—ერთ გვერდზე ქართულად და მეორეზე რუსულად.

ბ) მოწმობებისა და სიმწიფის ატესტატების ბლანკებისა და ასლების ბეჭდვა მთავრდება ყოველი წლის ათ მაისამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) მოწმობისა და სიმწიფის ატესტატების ბლანკების დაკარგვა-გატაცების თავიდან ასაცილებლად, განსახკომში სპეციალური პირების გამოყოფით სისტემატური კონტროლი ეწევა მოწმობებისა და სიმწიფის ატესტატების ბეჭდის, დაბეჭდილი ბლანკების შესაფერისად დაცულ ბინაში შენახვისა და მათი მიღება-გაცემის საქმეში მტკიცე ანგარიშგების დაყენებას.

მოწმობებისა და სიმწიფის ატესტატების გაცემა განათლების სახალხო კომისარიატიდან წარმოებს შემდეგი წესით:

ა) განსახკომიდან მოწმობებისა და სიმწიფის ატესტატებს განსახკომის სისტემაში შემავალი ყველა ტიპის სკოლისათვის ღებულობენ მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისრები და საოლქო, საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილებათა გამგეები პირადად, ან სპეციალური რწმუნებით აღჭურვილი პირების საშუალებით.

მოწმობებისა და სიმწიფის ატესტატების გაცემა ცალკე სკოლებსა ან ცალკე პირებზე აკრძალულია.

ბ) მოწმობებისა და სიმწიფის ატესტატების მისაღებად ავტონომიური სსრესპუბლიკის განსახკომები და ავტონომიური ოლქისა, საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილებათა გამგეები შემოწმებითი გამოცდების დაწყებამდე ერთი თვით ადრე განსახკომის შესაბამ სამმართველოში ადგენენ დაზუსტებულ მოთხოვნილებას სკოლების ცალკეული ტიპების მიხედვით.

გ) მოწმობებზე და სიმწიფის ატესტატებზე მოთხოვნილებათა წარმოდგენა შემდეგი ფორმის მიხედვით სწარმოებს:

| №№ რიგ. | მოწმობებისა და სიმწიფის ატესტატების დასახელება | მოსწავლეთა რაოდენობა კურსის დასამთავრებელ კლასში (სასწავლო წლის უკანასკნელი მეოთხედის დასაწყისში ფაქტიურად არსებული კონტიგენტის მიხედვით) | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| | | | |

§ 4.

განათლების განყოფილებანი კურსდამთავრებულთა მოწმობების ბლანკების სკოლებზე გაცემას აწარმოებენ შემდეგი წესით:

ა) სკოლებზე ბლანკების გაცემა უნდა მოხდეს მას შემდეგ, როცა სკოლის დირექტორი დაადასტურებს სასწავლო წლის ბოლოს მოწვეულ პედსაბჭოს დასკვნითი სხდომის გადაწყვეტილებას მოსწავლეთა მიერ სკოლის ამათუიმ საფეხურის კურსის დამთავრების შესახებ და განათლების განყოფილებას წარუდგენს კურსდამთავრებულთა დამოწმებულ სახელობით სიებს.

ბ) სიმწიფის ატესტატების შეუვსებელი ბლანკები სკოლებს არ ეძლევათ. საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებზე, რომლებსაც უნდა მიეცეთ სიმწიფის ატესტატები, თითოეული სკოლის დირექტორი, გარდა სახელობითი სიებისა, განათლების განყოფილებას წარუდგენს სიმწიფის ატესტატის მიმღებ კურსდამთავრებულთა წლიურსა და სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ნიშნებს ყველა ძირითად დისციპლინებში.

სიას თან უნდა ჰქონდეს დართული შემდეგი ცნობები,—„ამ სიაში შეტანილია სულ . . . . . . კურსდამთავრებული, გასაცემია . . . . სიმწიფის ატესტატი, მათგან . . . . . ჩვეულებრივი, . . . . . სიმწიფის ატესტატი ვერცხლის მედლით დაჯილდოებულთათვის და . . . . . სიმწიფის ატესტატი ოქროს მედლით დაჯილდოებულთათვის. (რიცხვი უნდა ჩაიწეროს, როგორც არაბული ციფრით, ისევე სიტყვებით), საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის (ხელისმოწერა), საგამოცდო კომისიის წევრები (ხელს აწერს საგამოცდო კომისიის ყველა წევრი)“. სია შემოწმებული უნდა იქნეს სკოლის მრგვალი ბეჭდით და დაეწეროს თარიღი. ამ სიებისა და ცნობების შემოწმებული ასლები რჩება აგრეთვე სკოლაშიაც.

გ) სიმწიფის ატესტატების შევსებას აწარმოებს განათლების განყოფილება სპეციალურად მოწვეული კალიგრაფიული ხელის მქონე პირის საშუალებით. სიმწიფის ატესტატის ორივე მხარე (ქართული და რუსული) უნდა შეივსოს სუფთად, გარკვეული ხელით, გრამატიკული შეცდომების დაუშვებლად, ტუშით ან მუქი ფერის კარგი ხარისხის მელნით. განათლების განყოფილებაში შევსებული სიმწიფის ატესტატების გაცემას აწარმოებს სკოლა. საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე და საგამოცდო კომისიის წევრები სრულად და გარკვევით უნდა აწერდნენ ხელს სიმწიფის ატესტატს. სიმწიფის ატესტატზე სკოლის მრგვალი ბეჭედი იმგვარად უნდა იყოს დასმული, რომ ბეჭდის მთელი ზედწარწერის ამოკითხვა თავისუფლად იყოს შესაძლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) განათლების განყოფილებათა მიერ შევსებული სიმწიფის ატესტატები უნდა გატარდეს შემდეგი სახის წიგნში ცალკე სკოლების მიხედვით:

შევსებული სიმწიფის ატესტატების გასატარებელი წიგნი . . . რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება.

| №№ რიგისა; იგივე № სიმწიფის ატესტატისა | იმ მოსწავლის გვარი, სახელი და მამის სახელი, რომელზედაც შეივსო სიმწიფის ატესტატი. | გაცემული სიმწიფის ატესტატის დასახელება | დამთავრების წელი | შევსებული სიმწიფის ატესტატების მიღებაზე საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის ხელის მოწერა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

ე) სიმწიფის ატესტატების შევსებისას სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში განათლების განყოფილებათა გამგეებს ევალებათ საქმე სასწრაფოდ გადასცენ პროკურატურის ორგანოებს და ამის შესახებ აცნობონ აგრეთვე საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს.

ვ) სიმწიფის ატესტატის ბლანკის შევსების დროს ან სხვა მიზეზით გაფუჭების შემთხვევაში, განათლების განყოფილებაში უნდა შედგეს სათანადო აქტი და სამაგიერო ბლანკის მისაღებად განსახკომში წარმოდგენილ შუამდგომლობასთან ერთად დართულ იქნეს როგორც გაფუჭებული ბლანკი, ისე საამისოდ შედგენილი აქტიც.

ზ) სკოლის დირექტორები (გამგეები) და განათლების განყოფილებანი დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების ოთხი კლასის დამთავრების მოწმობის გაცემას აწარმოებენ 20 ივნისამდე, შვიდწლიანი და საშუალო სკოლის შვიდი კლასის დამთავრების მოწმობის გაცემას 30 ივნისამდე, ხოლო სიმწიფის ატესტატებისას 10 ივლისამდე.

თ) იმ მოსწავლეებს, რომელთაც საშემოდგომო განმეორებითი გამოცდები ექნებათ დანიშნული, მოწმობები მიეცემათ არა უგვიანეს 31 აგვისტოსი.

ი) დაწყებითი და შვიდწლიანი სკოლის კურსის დამთავრების მოწმობისა და საშუალო სკოლის კურსის მოსმენის ბლანკების გაცემის სარეგისტრაციოდ თითოეულ განათლების განყოფილებაში უნდა იქნეს შემოღებული შემდეგი სახის წიგნი:

| №№ რიგ. | სკოლის სრული სახელწოდება. | გაცემული მოწმობის დასახელება. | გაცემული მოწმობის რაოდენობა (სიტყვებით). | მიმღების ვინაობა. | მიმღების ხელის მოწერა. |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

ეროვნული

სარეგისტრაციო წიგნი უნდა იქნეს ზონარგაყრილი, დალუქული და სიმწიფის ატესტატების ბლანკებთან ერთად საიმედო ადგილას შენახული.

ქ) შვიდწლიანი და საშუალო სკოლის ექსტერნად კურსდამთავრებულთათვის, პედსასწავლებლის ექსტერნად კურსდამთავრებულთათვის, პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებლის, დაუსწრებელი პედსასწავლებლის კურსდამთავრებულთათვის, 1944 წლამდე პედსასწავლებლებისა და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის მოწმობების შევსება, დამოწმება და გაცემა იწარმოებს რაიონის განათლების განყოფილებაში სათანადოდ გაფორმებული დოკუმენტების საფუძველზე.

შენიშვნა: პედსასწავლებლის კურსის ექსტერნად ჩაბარების უფლება ეძლევა მხოლოდ დაწყებითი სკოლების იმ მასწავლებლებს, რომელთაც საამისოდ სპეციალური ნებართვა აქვთ მიცემული საქართველოს სსრ განსახკომის მიერ.

§ 5.

მოწმობებისა და სიმწიფის ატესტატების გაცემა სკოლების მიერ შემდეგი წესით სწარმოებს:

ა) თითოეულ სკოლაში კურსდამთავრებულთათვის სათანადო მოწმობებისა და სიმწიფის ატესტატების გაცემა სწარმოებს სკოლის პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით და დირექტორის, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის (გამგის) პირადი პასუხისმგებლობით.

თითოეული მოწმობა, ისე, როგორც სიმწიფის ატესტატი, სწორად და გარკვეული ხელით ივსება ორივე მხარეზე (როგორც ქართულის ისე რუსულ ენაზე), მოწმობები და სიმწიფის ატესტატი უნდა ჩაბარდეს, როგორც წესი, კურსდამთავრებულს პირადად, გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება იგი მიეცეს კურსდამთავრებულის მშობლებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. თითოეულ კურსდამთავრებულზე გასაცემი მოწმობა და სიმწიფის ატესტატის დედანთან ერთად შევსებული და ხელმოწერილი უნდა იქნეს მათი ასლებიც. ასლები შენახულ უნდა იქნეს კურსდამთავრებულის პირად საქმესთან ერთად სკოლის არქივში.

გ. მოსწავლეებს, რომლებმაც 1944 წლამდე (ჩათვლით) დაამთავრეს სხვადასხვა ტიპის საშუალო სკოლა და დაკარგეს საშუალო სკოლის კურსის დამთავრების ატესტატი, სათანადოდ გაფორმებული ცნობის საფუძველზე მიეცემათ საშუალო სკოლის კურსის დამთავრების მოწმობა.

მოწმობის გაცემა შემდეგი წესით უნდა მოხდეს:

მოწმობის ან ატესტატის დაკარგვის შემთხვევაში კურსდამთავრებული უდგენს სკოლის დირექტორს მოწმობის ან ატესტატის დაკარგვის დამადასტურებელ საბუთს, რაც დირექტორის მიერ კურსდამთავრებულის საშუალო სკოლის კურსის დამთავრების დამადასტურებელ საბუთთან ერთად წარედგინება განათლების განყოფილებას. განათლების განყოფილება ამოწმებს ამ საბუთებს და სათ ნადო მინდობილობით გამოითხოვს ბლანკს განსახკომიდან, რომლის შევსებას და გაცემას აწარმოებს განათლების განყოფილება სკოლის არქივში დაცული მოწმობის ან ატესტატის ასლის მიხედვით.

დ. კურსდამთავრებულთათვის გაცემული მოწმობებისა და სიმწიფის ატესტატების აღრიცხვა-ანგარიშგების მოწესრიგების მიზნით თითოეულ სკოლაში შემოღებულ უნდა იქნეს შემდეგი ფორმის წიგნები:

1. დაწყებითი, შვიდწლიანი სკოლის კურსის დამთავრებისა და საშუალო სკოლის კურსის მოსმენის სარეგისტრაციო წიგნი . . სკოლა.

| №№ რიგისა, იგივე № მოწმობი-სათვის. | მოსწავლის გვარი, სახელი და მამის სახელი. | გაცემული დოკუმენტების დასახელება. | დოკუმენტების გაცემის წელი, თვე და რიცხვი. | მიმღების ხელის მოწერა. | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

და 2. სიმწიფის ატესტატების გაცემის სარეგისტრაციო წიგნი . . . . . . საშუალო სკოლა

| №№ რიგისა იგივე № სიმწიფის ატესტატისათვის | კურსდამთავრებულის გვარი, სახელი და მამის სახელი | გაცემული დოკუმენტის დასახელება | დოკუმენტის გაცემის წელი, თვე და რიცხვი | მიმღების ხელის მოწერა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |
| | | | | | |

ე. მოწმობის ბლანკის შევსების დროს ან სხვა მიზეზით გაფუჭების შემთხვევაში სკოლაში უნდა შედგეს სათანადო აქტი და განათლების განყოფილებიდან სამაგიერო ბლანკის მისაღებად წარმოდგენილ შუამდგომლობასთან ერთად დართულ იქნეს როგორც გაფუჭებული ბლანკი, ისე საიმისოდ შედგენილი აქტიც.

პედაგოგიური სასწავლებლის, მოზრდილთა მაღალი ტიპის, მუშა ახალგაზრდობისა და სოფლის ახალგაზრდობის შვიდწლიანი და საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთათვის მოწმობებისა და სიმწიფის ატესტატებისათვის გაცემას და გაცემული სიმწიფის ატესტატების აღრიცხვა-ანგარიშგებისათვის დაცულ უნდა იქნეს ყველა ის წესი, რაც საშუალო სკოლებისათვისაა მიღებული.

§ 6

კლასიდან კლასში გადასაყვანი მოწმობები გაიცემა შემდეგი წესით: დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლის I, II, III, V, VI, VIII და IX კლასის მოსწავლეებს სათანადო კლასებში შემოწმებითი გამოცდების დამთავრებიდან სამი დღის ვადაში, ხელზე მიეცემათ აკადემიური წარმატებისა და კლასიდან კლასში გადასაყვანი მოწმობა; რომელშიაც სკოლის დირექტორისა (გამგის) და კლასის ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით დადასტურებული იქნება პედსაბჭოს დადგენილება მოსწავლის შემდგომ კლასში გადაყვანისა, იმავე კლასში დატოვებისა, ან მისთვის საშემოდგომო განმეორებითი გამოცდების მიცემის შესახებ.

§ 7

მოწმობებისა და სიმწიფის ატესტატების მიღება-გაცემის ანგარიშგება შემდეგი სახით წესრიგდება:

ა. თითოეული სკოლა 30 ივნისამდე უდგენს განათლების განყოფილებას ცნობებს იმის შესახებ, თუ მიღებული მოწმობების ბლანკებიდან რამდენი გასცა დანიშნულისამებრ და რამდენი არ იქნა გამოყენებული სხვადასხვა მიზეზით (მოსწავლის გარდაცვალების, ავადმყოფობის, მოსწავლისა და მშობლების სხვაგან გადასვლისა და სხვა შემთხვევათა გამო).

ბ. განათლების განყოფილება სკოლებიდან მიღებული ცნობების საფუძველზე 15 ივლისამდე უდგენს განსახკომის შესაბამ სამმართველოს წერილობით ცნობებს მოწმობებისა და სიმწიფის ატესტატების ცალკე სახეების მიხედვით, გაცემული რაოდენობის შესახებ.

გ. მოწმობები და სიმწიფის ატესტატების მიღება-გაცემის შესახებ საბოლოო ანგარიშებს განათლების განყოფილებანი ადგენენ 5 სექტემბრისათვის და ყველა გამოუყენებელი და გაფუჭებული მოწმობები და სიმწიფის ატესტატების ბლანკებთან ერთად სათანადო გაფორმებული აქტებითურთ აბარებენ განსახკომის შესაბამ სამმართველოს უფროსს.

დ. მოწმობებისა და სიმწიფის ატესტატების ბლანკების მიღების, შესაფერ რკინის ყუთებში შენახვისა და გაცემის შესახებ ზემოაღნიშნული ინსტრუქციის გატარების საქმეში პასუხისმგებლობა ეკისრება განსახკომის სათანადო სამმართველოს უფროსს, ავტონომიური სს რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისრებს, საოლქო, საქალაქო და სარაიონო-განათლების განყოფილებათა გამგეებს და სკოლის დირექტორებს (გამგეებს). ამათვე ევალებათ ამ დადგენილების დარღვევისა, ან მოწმობების და სიმწიფის ატესტატის ბლანკის დაკარგვა-გატაცების შემთხვევაში კონკრეტულად დამნაშავე პირების წინააღმდეგ დაუყოვნებლივი ზომების მიღება და მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში გადაცემა.

საფუძველი: საქართველოს სსრ განსახკომის კოლეგიის 1945 წლის 11 მარტის დადგენილება.

დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს
უფროსი — უშ. ობოლაძე

პოლიტსაგანმანათლებლო სამმართველოს
უფროსი — ა. გაბისონია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდების ოქმის ფორმა

ვამტკიცებ სკოლის დირექტორი ____________________

194   წ. „____“ ____________________

# ოქმი

გადასაყვანი გამოცდებისა ____________________
(საგანი)

ქალ. ____________________ რაიონის ____________________ სკოლის

მე ____________________ კლასში.

1. მასწავლებლის გვარი, სახელი, მამის სახელი ____________________

____________________

2. ასისტენტის გვარი, სახელი და მამის სახელი ____________________

____________________

| №№ რიგზე | მოსწავლის გვარი სახელი, მამის სახელი | წლიური ნიშანი | ზეპირი გამოცდა | | გამოცდა წერაში | | საერთო ნიშანი | საბოლოო ნიშანი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ბილეთის № | ნიშანი | თემა ან ამოცანის დასახელება | ნიშანი | | | |
| | | | | | | | | | |

**შენიშვნა:** ნიშანი უნდა დაიწეროს ციფრითა და სიტყვით, მაგ. „3“ (სამი), „4“ (ოთხი) და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოქმი

ზეპირი და წერითი გამოსაშვები გამოცდისა ____________
(საგანი)

ქალ______________ ______რაიონის______________სკოლის მე _____ კლასში.

1. საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის გვარი, სახელი, მამის სახელი ______________
2. გამომცდელი მასწავლებლის გვარი, სახელი, მამის სახელი ______________
3. ასისტენტის გვარი, სახელი, მამის სახელი ______________
4. განათლების განყოფილების წარმომადგენლის გვარი, სახელი, მამის სახელი ______________
5. საქართველოს სსრ განსახკომიდან, სარაიონო (საქალაქო) განათლების განყოფილებიდან გამოგზავნილი პაკეტი საწერი თემით გაიხსნა __________ საათ.__________ წუთ.
(მასალა თან ერთვის ამ ოქმს)
6. გამოცდა დაიწყო __________ საათ.__________ წუთ.
გამოცდა დამთავრდა__________ საათ.__________ წუთ.

| №№ რიგზე | მოსწავლის გვარი სახელი და მამის სახელი | წლიური ნიშანი | ზეპირი გამოცდა | | გამოცდა წერაში | | საერთო ნიშანი | საბოლოო ნიშანი | შენიშვნა (შეტანილია კომისიის წევრების განსაკუთრებული აზრი შეფასების შესახებ, გამოცდების წესის დარღვევის შემთხვევა და სხვა) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ბილეთის № | ნიშანი | თემა, ან ამოცანისა და მაგალითის ვარიანტი | ნიშანი | | | |
| | | | | | | | | | |

საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე ______________
გამომცდელი მასწავლებელი ______________
ა ს ი ს ტ ე ნ ტ ი ______________
განათლების განყოფილების წარმომადგენელი ______________
194 წ. „ “ __________

**შენიშვნა:** შეფასების ნიშანი ჩაიწერება ციფრით და სიტყვით, მაგ. „3“ (სამი), „4“ (ოთხი) და ა. შ.